ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 21 მაისი, 2020 №111 (8375) ფასი: 60 თეთრი

თბილისში ბიზნესმენის გატაცებისთვის პოლიციამ 13 კაცი დააკავა

გვ.5

„ან ივანიშვილი-გახარია-თალაკვაძე ცრუობენ, ან პრეზიდენტი“

გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „კობახიძის განცხადება საინფორმაციო ომის ნაწილია და ოპონენტების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად“

„გიორგი ვაშაძე პრემიერობის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება“

მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალებს ეს კანდიდატურა რატომ არ მოსწონთ, არ ვიცი“

გვ.2

მურმან დუმბაძე: „ოპოზიციამ არჩევნებამდე ჩრდილოვანი კაბინეტიც უნდა დაასახელოს“

გვ.3

„შევეცდებით, „გავრილოვის ღამე“ კიდევ ერთხელ გავაპროტესტოთ“

კელი დეგნანი: „ბიზნესი საქართველოში ფულს მაშინ ჩადებს, როცა სამართლიანი სასამართლო გექნებათ“

გვ.2

გვ.4

ჯემალ გამახარია: „აფხაზეთში კოვიდსიტუაცია ბოლო პერიოდში გართულდა“

ამერიკელი ექსპერტები: „კრემლი ცხინვალის რეგიონზე შეტევას გეგმავს“

გვ.4

შინაგან საქმეთა სამინისტროს აშშ-ის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურმა სამედიცინო პრევენციული საშუალებები გადასცა

გვ.5

ISSN 1987-9385

3 გიგი უგულავა: „ვანო მერაბიშვილი ნაციონალებს შეუერთდება“

5 ციხეებში ყველა სახის ამანათის შეგზავნა განახლდა

5 „პროკურორმა იუზრდელა, დაგვიწყო ყვირილი“ ინციდენტი რურუას სასამართლოზე

2 სოფიო ხუნწარიას ადგილს ანდრია ბასილაია დაიკავებს

„გიორგი ვაშაძე პრემიერობის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება“

მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალებს ეს კანდიდატურა რატომ არ მოსწონთ, არ ვიცი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ოპოზიციური ერთობის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ოპოზიციის ერთი ნაწილის მხრიდან პრემიერობის კანდიდატად გიორგი ვაშაძის კანდიდატურა დასახლდა. რას იტყვით თქვენ?

– საერთოდ საიდან მოვიდა ეს, რომ ვაშაძის კანდიდატურა დასახელდა, არ ვიცი, ვერ გეტყვით. მე ვიცი, რომ ქალბატონმა თაკო ჩარკვიანმა გამოხატა თავისი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით და ამით ამოიწურა ეს ყველაფერი. მეტი არავის მსგავსი არაფერი უთქვამს.

– ანუ ოფიციალური სახე ჯერ არ ჰქონია ამ ყველაფერს?

– არა, მედიამ გააბუქა. რეალურად განიხილება, რა თქმა უნდა. ადამიანმა ამხელა სამუშაო შეასრულა. სტრატეგია აღმაშენებელი არის პრაქტიკულად წინასაარჩევნო პროგრამა, მაგრამ ჯერ ოფიციალური გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

– ნაციონალურ მოძრაობას არ მოსწონს ვაშაძის კანდიდატურა და საკუთარი კანდიდატურა ჰყავს?

– არ ვიცი, მაგათ რა მოსწონთ. შესაძლოა, კანდიდატურაც ჰყავთ და ასე შემდეგ.

– კობა ნაყოფია სახელდება მათ კანდიდატად. ეს რამდენად სერიოზულია?

– არ ვიცი, რა გითხრათ. ჩემთვის არასერიოზულია ეს ყველაფერი. რაც შეეხება იმას, თუ რამდენ ხანში დასახელდება, მალე უნდა დასახელდეს.

– თქვენ მიდასტურებთ, რომ გიორგი ვაშაძე იქნება პრემიერობის კანდიდატი?

– მე გიდასტურებთ იმას, რომ ერთ-ერთი ვაშაძე იქნება, მაგრამ, შესაძლოა, იყოს ნაყოფიაც, შეიძლება, სააკაშვილიც, რადგან მისი გვარიც გაჟღერდა უკვე.

– სააკაშვილის? ეს სერიოზულია?

– ყოველ შემთხვევაში, მის მხარდამჭერებში სააკაშვილის გვარმა გაიჟღერა.

– ის ვერ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში...

– დიახ, თუმცა მისი მხარდამჭერები ამბობენ, რომ შესაძლოა, არ შეუძლია მონაწილეობა, მაგრამ, რომ გაიმარჯვებენ, მერე სააკაშვილს შეეძლება, გახდეს პრემიერი. ამ ხალხს ეს შეგრძნება აქვს და აბა, რა გითხრათ.

– ეს კანდიდატები რამდენად შეიძლება გახდნენ ოპოზიციაში განხეთქილების მიზეზი? ამ შეხვედრაზე რატომ არ მოვიდნენ ნაციონალები?

– ნაციონალები ძირითადად ასე იქცევიან ხოლმე. ამ პარტიას ახასიათებს ამბიციურობა. ეს არ არის ახალი ამბავი. თვითონ მათი მხარდამჭერების დამოკიდებულებაში იგრძნობა ეს ყოველივე. ამ შეხვედრის მერე დავწერე სტატუსი, იმედს ვიტოვებ, მალე შემოგვიერთდებიან დანარჩენები-მეთქი. მხოლოდ ორი პარტია არ ესწრებოდა, დანარჩენი ვიყავით და, რომ ვთქვი, შემოგვიერთდებიან-მეთქი, დამცინეს ნაციონალების მხარდამჭერებმა – თქვენ უნდა შემოგიერთდნენ ისინი?! აი, ასეთი დამოკიდებულებაა.

– როდესაც ჰქვია ოპოზიციური ერთობა, მაშინ ყველა უნდა იყოს ერთიანი, ასე არ არის? ეს ხომ არ დააზარალებს ამ ერთობას?

– რა თქმა უნდა, დააზარალებს. იცით, რაშია საქმე? ამ გაერთიანებამ თავისი შედეგი გამოიღო და ძალიან კარგად აჩვენა, რომ ამომრჩევლის ხმების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა საპრეზიდენტოზე, როდესაც ერთიანი ფორმით გავედით. ნაციონალებმა რაც არ უნდა იძახონ, ჩვენ დიდები ვართ და ძალიან მაგრები ვართო, ვერც ერთხელ ვერ ასცდნენ 300 ათასს და ახლა ეს ხმები რეალურად გაორმაგდა, ხომ?!

– სააკაშვილის პოზიცია თუა თქვენთვის ცნობილი? გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი ვაშაძის კანდიდატურა მისთვისაც მისაღებია.

– მეც ასე ვიცი, რომ სააკაშვილს აქვს კომუნიკაცია. მე არანაირი კომუნიკაცია არ მაქვს სააკაშვილთან, ვარშავის მერე არანაირი კონტაქტი არ მქონია. შესაბამისად, არც ვიცი, რაზე ფიქრობს და როგორ.

– საბოლოოდ როდის დაასახელებს ოპოზიცია კანდიდატს? შეჯერდებით ერთ კონკრეტულზე თუ იქნება რამდენიმე კანდიდატი?

– შესაძლებელია, რამდენიმე კანდიდატი იყოს და შემდეგ ჩამოყალიბდეს ოპოზიცია, თუ დავრჩებით ერთად. მე უკვე ეჭვი შემეპარა ამაში, დავრჩებით კი ერთად?!

– „ოცნების“ ინტერესებშიც შედის ოპოზიციური ერთობის დაშლა.

– დიახ. ვინც დაშლის მომხრეა, ის, ნებსით თუ უნებლიეთ, „ოცნების“ თამაშს თამაშობს. ეს აქსიომაა!

– ასე მარტივად არ დაგითმობთ ხელისუფლება.

– რა თქმა უნდა, ბიძინა ასე მარტივად არ დაგვითმობს.

– ითქვა, რომ გიორგი ვაშაძეს დასჭირდება გიგა ბოკერიას მხარდაჭერა. უჭერენ „ევროპულ საქართველოში“ მხარს ვაშაძის კანდიდატურას?

– აბსოლუტურად არანაირ კავშირში არ არის ერთი მეორესთან და ავხსნი, რატომ. ოპოზიციური ერთობის ორი ვარიანტია. ერთი, აი, ის დიდი მაგიდა, სადაც ვსხედვართ ყველანი, სრულიად სხვადასხვა ოპოზიციური ძალები და ეს არის შალვა ნათელაშვილის ფორმატი, თუმცა ეს ფორმატი არ არის საარჩევნო ფორმატი, ეს არის შექმნილი მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად, პოლიტპატიმრების გამოსაშვებად და ასევე, შესაძლებელია, მოხდეს ამ ფორმატში მაჟორიტარებზე შეჯერებაც.

– შესაძლოა, ყველას თავისი პრემიერობის კანდიდატი ჰყავდეს?

– რა თქმა უნდა და ეს, ალბათ, ასეც იქნება. ამ ფორმატში შეჯერება არ მოხდება. რა შეეხება მეორე ფორმატს, გართიანებული ოპოზიცია – ძალა ერთობაშია – ეს სრულიად სხვა ფორმატია. ეს არის 2017 წელს შექმნილი ფორმატი, როდესაც ადგილობრივ არჩევნებზე მოხდა გაერთიანება, შემდეგ ამსტერდამში შევთანხმდით ნაციონალებთან, რომ ერთად ვიქნებით და ასე შემდეგ.

– ამ ფორმატში არიან ნაციონალები და არ არის „ევროპული საქართველო“?

– დიახ, აქ „ევროპული საქართველო“ არ არის და არც მოიაზრება. ამიტომ ჩვენს ფორმატს მათთან შესათანხმებელი არაფერი აქვს. კატეგორიულად არ მოიაზრება. რამდენადაც ვიცი, „ევროპულ საქართველოს“ თავისი ინტერესები აქვს და თვითონ უნდათ, რომ გავიდნენ შავგულიძესთან ერთად.

– ანუ „ძალა ერთობაშიას“ კანდიდატად, შესაძლოა, დარჩეს გიორგი ვაშაძე?

– რა თქმა უნდა, ძალიან დიდ წინააღმდეგობებს აწყდება გიორგი ვაშაძე, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, საარჩევნო თვალსაზრისით ცუდი სულაც არ იქნება, რომ არანაციონალი იყოს საარჩევნო სიის პირველი ნომერი. ეს „შუაშისტების“ ხმებს მოიზიდავდა.

– შავი პიარი აუგორეს, რომ ის ჩხარტიშვილის სიძეა.

– დიდი ბოდიში, მაგრამ სწორედ ნაციონალების დროს რომ იყო ზურაბ ადეიშვილის მოადგილე და აშენებდა იუსტიციის სახლებს, მაშინ არ იყო ჩხარტიშვილის სიძე? ახლა ხომ არ გამხდარა. მაშინაც ხომ იყო და ახლა რატომ გახდა ვაშაძე მიუღებელი ფიგურა ნაციონალებისთვის?! ეს არ არის არანაირი არგუმენტი! არგუმენტი არის ის, რომ ამ ადამიანმა ძალიან სერიოზული სამუშაო ჩაატარა, ძალიან სერიოზული პროგრამა დადო, რომელიც მისაღები აღმოჩნდა საზოგადოებისთვის და მე სხვა პროგრამა ჯერჯერობით არ მინახავს.

კელი დეგნანი: „ბიზნესი საქართველოში ფულს მაშინ ჩადებს, როცა სამართლიანი სასამართლო გექნებათ“

– ჩვენ ვისურვებდით, რომ მეტ ამერიკულ კომპანიას განეხორციელებინა ინვესტიცია საქართველოში და მეტ ქართულ კომპანიას – ამერიკაში.

ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა ვირტუალური პრესკონფერენციის მიმდინარეობისას განაცხადა.

ამასთანავე, მან ხაზი გაუსვა საქართველოს, როგორც რეგიონული სატრანსპორტო ჰაბის მნიშვნელობას.

– ჩვენ ბევრს ვმუშაობთ ამ შესაძლებლობების შესაქმნელად და თანხვედრაში მოსაყვანად. ვფიქრობ, რომ კორონავირუსული პანდემიის დროს დავინახეთ, რამდენად მნიშვნელოვანია, ტვირთმა იმოძრაოს და ამ მიმართულებით ფოთის პორტი სრული დატვირთვით მუშაობდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ არსებობს მოთხოვნა, არსებობს შესაძლებლობა ამ რეგიონში და, რა თქმა უნდა, ამაში მნიშვნელოვანი როლი საქართველომ უნდა შეასრულოს, როგორც რეგიონულმა სატრანსპორტო ჰაბმა, რისკენაც, როგორც ვხედავ, საქართველო მიისწრაფვის.

ვისურვებდით, რომ ამერიკულ კომპანიებს თავიანთი წვლილი შეეტანათ ამის განხორციელებაში და ვიმედოვნებ, რომ ამერიკული კომპანიები ამ მიმართულებით იმუშავებენ, – განაცხადა კელი დეგნანმა.

ამასთანავე, მან ინვესტორების მოზიდვის პროცესში სამართლიანი სასამართლო სისტემის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ამის გარეშე ბიზნესმენები თავიანთ ფულს, უბრალოდ, სხვა ქვეყანაში ჩადებენ.

– ნებისმიერი უცხოური ინვესტორისა და ბიზნესმენის მოსაზიდად ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. ბიზნესმენებს სჭირდებათ იცოდნენ, რომ ისინი ინვესტიციას ახორციელებენ იმ ქვეყანაში, რომელსაც აქვს სანდო სასამართლო სისტემა, რომ მათი დავები გადაწყვეტილი იქნება სამართლიანად და დროულად.

ამის გარეშე ინვესტორები საკუთარ ფულს სადმე სხვაგან ჩადებენ. ასე რომ, ეს არის მიზეზი, რატომაც მუშაობს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში სასამართლო სისტემის შესაქმნელად, – განაცხადა ელჩმა.

დიმიტრი ხუნდაძე: „პარლამენტისთვის საპარლამენტო კონტროლის უფლება არავის წაურთმევია“

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძის განმარტებით, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის განხორციელებით პარლამენტის როლის უგულებელყოფა არ ხდება. როგორც მან ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, პარლამენტისთვის საპარლამენტო კონტროლის უფლება არავის წაურთმევია.

– პარლამენტის როლის უგულებელყოფა არ ხდება. პარლამენტში ვართ სწორედ ახლა და ამ საკითხს ვიხილავთ. საგანგებო მდგომარეობას პარლამენტმა დაუჭირა მხარი და ამ რეგულაციებსაც პარლამენტი იხილავს. ეს პარლამენტის დასტურის გარეშე არ მოხდება.

სწორედ ამიტომ არის პარლამენტში საკომიტეტო განხილვა და მადლობა მინდა გითხრათ ჩართულობისთვის. რაც შეეხება საპარლამენტო კონტროლს, რა თქმა უნდა, პარლამენტისთვის საპარლამენტო კონტროლის უფლება არავის წაურთმევია, – განაცხადა ხუნდაძემ.

მისი განმარტებით, უახლოეს მომავალში პარლამენტში პრემიერ-მინისტრი წარდგება ანგარიშით და ყველა კითხვას პასუხს გასცემს.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, მთავრობას ქვეყანაში შემზღუდავი ღონისძიებების გატარება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშეც შეეძლება.

საკრედიტო შენატანების ვალდებულება სექტემბრამდე უნდა გადავადდეს

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე ნიკა მელია სოფელ ქერთუბანში გოზა მარკოზაშვილს ესტუმრა.

ოჯახი სოფლის მეურნეობას მისდევდა, ბანკიდან კრედიტი გამოიტანა, მეურნეობა გააფართოვა, მოსავალიც მოჰყავდა და თანასოფლელებიც დასაქმებული ჰყავდა, თუმცა პანდემიის გამო საქმიანობის გაგრძელებას ვეღარ ახერხებს.

საკრედიტო შეღავათის ვადის ამოწურვის შემდეგ ყოველთვიური გადასახადიც მნიშვნელოვნად გაეზარდა და ამის გამო იძულებული გახდა, ნაკვეთი გაეყიდა.

ნიკა მელიამ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწოდა მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად საბანკო შეღავათების კიდევ 3 თვით გახანგრძლივებისკენ.

– გაჩერდა მომსახურების ფაქტობრივად მთელი სექტორი. სამუშაო ადგილები დაიკარგა. უამრავი ადამიანი დღემდე სახლშია გამოკეტილი და ივნისიდან ყველა მათგანს მოუწევს საკუთარი ვალის მომსახურებაზე ზრუნვა.

მინიმუმ სექტემბრამდე, სამი თვით უნდა გადავადდეს საკრედიტო შენატანების ვალდებულება. ვგულისხმობ როგორც პროცენტის გადახდევინების ვალდებულებას, ასევე ძირ თანხას, – აღნიშნა ნიკა მელიამ.

სოფიო ხუნწარიას ადგილს ანდრია ბასილაია დაიკავებს

თბილისის მერის მოადგილის პოსტს ანდრია ბასილაია დაიკავებს. ამის შესახებ გუშინ, 20 მაისს, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. როგორც კალაძემ აღნიშნა, ბასილაია სოფიო ხუნწარიას ადგილს დაიკავებს, რომელმაც თანამდებობა რამდენიმე დღის წინ დატოვა.

– მინდა, წარმოგიდგინოთ ჩემი ახალი მოადგილის, ანდრია ბასილაიას კანდიდატურა, რომელიც 2017 წლიდან არის ჩვენი გუნდის წევრი. დღემდე სხვადასხვა თანამდებობაზე იყო და აქვს ბევრი წარმატებული პროექტი. ანდრია პროფესიით ეკონომისტ/პოლიტოლოგია, დამთავრებული აქვს ნიუ იორკის „წმინდა ლაურენსის უნივერსიტეტი“, მანამდე კი „ვესტთაუნის სკოლა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში. დარწმუნებული ვარ, წარმატებულ პროექტებს განვახორციელებთ. ანდრია არის მაგარი პროფესიონალი, წარმატებული ადამიანი და მინდა, მას წარმატება ვუსურვო ამ თანამდებობაზე, – განაცხადა კალაძემ.

ანდრია ბასილაია რამდენიმე დღის წინ ურბანული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელად წარადგინეს, მანამდე კი, 2 წლის განმავლობაში ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი იყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ან ივანიშვილი-გახარია-თალაკვაძე ცრუობენ, ან პრეზიდენტი“

ნიკა ჩიტაძე: „კობახიძის განცხადება საინფორმაციო ომის ნაწილია და ოპონენტების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად“

იაგო ნაცვლიშვილი

„რუსთავი 2“-სთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ თქვა, რომ ირაკლი ოქრუაშვილისა და გიგი უგულავას შეწყალების გადაწყვეტილება თავად მიიღო, თუმცა ამის არ სჯერა ოპოზიციას. პრეზიდენტმა ასევე გვითხრა, რომ მისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირებული იყვნენ ბიძინა ივანიშვილი, გიორგი გახარია და არჩილ თალაკვაძე. სჯერა თუ არა, რომ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მიიღო და გაბათილდა თუ არა ის განცხადებები, რომ „ქართული ოცნების“ წევრებმა შეწყალების შესახებ პრეზიდენტის ბრიფინგიდან გაიგეს? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– პრეზიდენტის ამ განცხადებით გაბათილდა თუ არა ის კომენტარები, რომლებიც გვესმოდა, რომ უმრავლესობა არ იყო ინფორმირებული პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესახებ და ეს ბრიფინგიდან გაიგეს?

– აქ აშკარად ჩანს, რომ ეს კავშირი არსებობდა პრეზიდენტსა და ბიძინა ივანიშვილს შორის. თუ ეს ადამიანები უარყოფენ, მაშინ გამოდის, რომ პრეზიდენტი იტყუება. ან პარლამენტარები და ივანიშვილი იტყუებიან, ან პრეზიდენტი. სამწუხაროა, როცა უარყოფდნენ ამ კავშირს. არსებობს მტკიცებულება, რომ პარლამენტის თავმჯდომარესთან და პრემიერთან ჰქონდა პრეზიდენტს კავშირი.

– პრეზიდენტი აცხადებს, რომ დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება და მხოლოდ აცნობა ივანიშვილს. ეს თქვენთვის დამაჯერებელია?

– თუ მიიღო გადაწყვეტილება და ეს აცნობა ივანიშვილს, ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ საქართველოში არაფორმალური მმართველობაა. პრეზიდენტი მხოლოდ მოსახლეობის წინაშეა ანგარიშვალდებული და მოსახლეობას აცნობს გადაწყვეტილება, მაგრამ ის ანგარიშვალდებული არც პრემიერთან არის და მით უმეტეს ბიძინა ივანიშვილთან არ არის, რომელსაც არავითარი სახელმწიფო თანამდებობა არ უკავია. გამოდის, რომ მას შეატყობინა. შესაძლოა, აცნობა, რომ ამ გადაწყვეტილებას იღებდა და ივანიშვილისგან დასტური მიიღო. ფაქტია, რომ მას დამოუკიდებლად არ მიუღია გადაწყვეტილება.

– არ გგონიათ, რომ მას ააღებინეს საკუთარ თავზე დარტყმა, რომ მიიღო ეს გადაწყვეტილება?

– სხვა გზა არ არსებობდა. სასამართლოს რომ გამოეტანა განაჩენი, მაშინ პირდაპირი გზავნილი იქნებოდა, რომ ხელისუფლება ახდენს გავლენას სასამართლოზე. ჯერ ერთი გადაწყვეტილება მიიღო, მერე – მეორე, ეს გამოჩნდებოდა თვალნათლივ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დასავლეთიდან გაძლიერდა ზეწოლა პოლიტიკურ ხელისუფლებაზე.

ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, რომ თუ ხელისუფლებას მოუწია დათმობაზე წასვლა, მაშინ ამის საკუთარ თავზე აღება პრეზიდენტს მოუწევს კონსტიტუციის თანახმად. პრეზიდენტის პრეროგატივაა პატიმრის შეწყალება და მართლაც ასე მოხდა. ამ შემთხვევაში საფუძველი არ დატოვეს ამ ნაწილთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ახდენს ზეწოლას სასამართლოზე. ეს იყო ერთადერთი სამართლებრივი და პოლიტიკური გზა, რომ პრეზიდენტს უნდა შეეწყალებინა ეს ადამიანები.

– პრეზიდენტს მართლა რომ მიეღო დამოუკიდებლად გადაწყვეტილება, მაშინ არ იქნებოდა უფრო მძაფრი განცხადებები პარლამენტში? თუნდაც მის იმპიჩმენტზე ხომ არ დაიწყებოდა ლაპარაკი? გვახსოვს, პრეზიდენტ მარგველაშვილის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები როგორ ხდებოდა „ოცნების“ კრიტიკის ობიექტი.

– კი, თუმცა პრეზიდენტი მარგველაშვილი არ თამაშობდა „ოცნების“ თამაშს და მალევე გაემიჯნენ, როდესაც მან პრეზიდენტის სასახლეში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო. ზურაბიშვილი კი ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს. დიდი ალბათობით, ასე იქნება მომავალშიც, იმიტომ, რომ ის დავალებულია „ქართული ოცნებისგან“. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო, რომ პრეზიდენტის მიმართ მძაფრი განცხადებები არ იქნებოდა.

კობახიძემ თქვა, რომ ის არ ეთანხმება პრეზიდენტ ზურაბიშვილის განცხადებებს. ეს იყო და ეს, იმიტომ, რომ მან „ქართული ოცნების“ საქმე გააკეთა. „ოცნებას“ არ უღირდა დასავლეთთან ვითარების დაძაბვა და, აქედან გამომდინარე, შეთანხმებაც რომ არ ყოფილიყო ზურაბიშვილსა და მმართველ პარტიას შორის, მაინც მისაღები იქნებოდა, რადგან მათი თამაში ითამაშა და ამ ყველაფერს მძაფრი კრიტიკა არ მოჰყვებოდა.

დაიწყო ზეწოლა „ოცნებაზე“, იმავე სენატორებისა და კონგრესმენების მხრიდან, იმავე ევროპარლამენტარების მხრიდან. ამიტომაც სხვა იმაზე უკეთესი გამოსავალი ვერ იქნებოდა. მე არ მგონია, რომ პრეზიდენტმა თავად მიიღო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ, ასეც რომ ყოფილიყო, ამას არ მოჰყვებოდა მძაფრი კრიტიკა.

– კობახიძე უგულავასა და ოქრუაშვილს უწოდებს პოლიტკრიმინალებს, რა რამდენად გამართლებულია? თან ოქრუაშვილის რუსეთთან კავშირებს უსვამს ხაზს, ხოლო უგულავას 48 მილიონის მომპარავს ეძახის და ამბობს, რომ მათ პოლიტიკაში ყოფნის უფლება არ უნდა ჰქონდეთ. ეს რა რიტორიკაა?

– ეს არის საინფორმაციო ომის შემადგენელი ნაწილი და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. კობახიძე ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ისინი კრიმინალები არიან და პოლიტიკური ნიშნით არ იმყოფებოდნენ ციხეში.

რაც შეეხება ოქრუაშვილის ნაწილს, რომ ის რუსეთთან იყო შეკრული და ა.შ. მაშინ მმართველ ძალასა და მაშინდელ ოპოზიციას გავახსენებ, რომ ოქრუაშვილი თავის დროზე, როდესაც სააკაშვილის ოპოზიციაში წავიდა, მოევლინა ოპოზიციას პოლიტიკურად ლიდერად. გვახსოვს მისი განცხადებები ინგა გრიგოლიას ეთერში, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ პრემიერ ზურაბ ჟვანიას ცხედარი მიიტანეს და ა.შ. მაშინ ეს განცხადებები აიტაცა ოპოზიციამ, იმიტომ, რომ სჭირდებოდათ. მერე თურმე ის იყო პოლიტდევნილი, როდესაც პარიზში ცხოვრობდა და ა.შ. მერე ამ ხელისუფლებამ შეუწყო ხელი ჯერ მის დაბრუნებას, ხოლო მერე – გამოშვებას.

– კი, მაგრამ თავად ამბობს, გავრისკე, როდესაც ჩამოვედი, რადგან არ ვიცოდი, პატიმრობაში დამტოვებდნენ თუ გამათავისუფლებდნენო.

– ხომ იცოდა, რომ გამოუშვებდნენ?! მართლაც ასე მოხდა. ასევე გახსოვთ, რომ ის იყო „ქართული პარტიის“ დამფუძნებელი. გაჩეჩილაძესთან, ეროსი კიწმარიშვილთან, სოზარ სუბართან და სხვებთან ერთად ჰქონდა ეს პარტია.

მე, მაგალითად, ამ ადამიანს არ ვუჭერ მხარს. შესაძლოა, ის ივანიშვილს უპირისპირდება, მაგრამ ჩემთვის არა მხოლოდ იმას აქვს მნიშვნელობა, რომ ბიძინა წავიდეს ხელისუფლებიდან, არამედ იმასაც, რომ დემოკრატიული ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში.

– ირაკლი კობახიძეს და სხვებსაც დასავლეთის კრიტიკაზე ასეთი ახსნა აქვთ – ოცამდე დეპუტატია ევროპარლამენტსა და კონგრესში, რომლებიც მუდმივად გვაკრიტიკებენ და კონკრეტული პარტიების მხარდამჭერები არიანო. 8 წელი როცა ხარ ხელისუფლებაში და თავს პროდასავლურად თვლი, რატომ ვერ ახერხებ იმას, რომ შენი კრიტიკის დამაბალანსებელი განცხადებებიც გაკეთდეს?

– რა თქმა უნდა. სწორედ ეს არის საქმე. „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის სისუსტეს. თუ ისინი თვლიან, რომ ნაცმოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“ ჰყავთ ლობისტები დასავლეთში და ამიტომ აკრიტიკებენ ხელისუფლებას, მაშინ ასეთი მძლავრი ფინანსების მქონე მმართველმა პარტიამ ის მაინც ვერ მოახერხა, რომ ერთი მხარდამჭერი მაინც ენახა, რომელიც „ოცნების“ ლობირებას გააკეთებდა?!

– თუნდაც როცა გაკეთდა განცხადებები, რომ საქართველოს ჰყავს პოლიტპატიმრები, ერთს მაინც რომ ეთქვა, რომ საქართველოს არ ჰყავს პოლიტპატიმრები, ასეთი რამე ჩვენ არ მოგვისმენია.

– დიახ, რა თქმა უნდა, გეთანხმებით მაგაში. საერთოდ მხარი დაეჭირათ საქართველოს ხელისუფლებისთვის და ეთქვათ, რომ საქართველო სწორი მიმართულებით მიდის. ეს ყველაფერი „ოცნების“ სისუსტეს ადასტურებს.

ამასთანავე, სიმართლის საფუძველი არ არსებობს. რა უნდა დაუპირისპირონ იმას, რომ შერჩევითი სამართალია ან იმას, როდესაც მოსახლეობა და საერთაშორისო საზოგადოება მოატყუეს, რომ პროპორციული არჩევნები დაინიშნებოდა. იმავე კორცხელზე არ აქვთ კონკრეტული პასუხები და, თუ ეს არ არსებობს, გაგიჭირდება თუნდაც ლობისტების საშუალებით კამპანია, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება.

მურმან დუმბაძე: „ოპოზიციამ არჩევნებამდე ჩრდილოვანი კაბინეტიც უნდა დაასახელოს“

„შევეცდებით, „გავრილოვის ღამე“ კიდევ ერთხელ გავაპროტესტოთ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში ოპოზიციის მიერ მიღწეულ შეთანხმებაზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ორდღიანი შეხვედრების შემდეგ ოპოზიცია რაზე შეთანხმდა? თუ მიიღო რამე სახის გადაწყვეტილება თუნდაც მაჟორიტარებთან დაკავშირებით?

– ამ შეხვედრებზე ორი საკითხი იყო ძირითადად განხილული: ერთი, 8 მარტის შეთანხმების ბოლომდე მიყვანა და მისი შესრულება. ბოლო პოლიტპატიმარი გიორგი რურუა უნდა გათავისუფლდეს. ამ მიმართულებით უფრო ინტენსიურად ვიმუშავებთ.

მეორე საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. 30 მაჟორიტარულ ოლქში შეთანხმება მიღწეულია, რომ ოპოზიციური პარტიები საერთო კანდიდატის ირგვლივ გაერთიანდნენ. ბუნებრივია, ალბათ, მაინც იქნება რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომლებიც საკუთარ კანდიდატს დააყენებენ, მაგრამ ოპოზიცია, რომელიც „ლეიბორისტებში“ იკრიბება, თანხმდება, რომ საერთო კანდიდატით გავიდეს მაჟორიტარულ ოლქებში.

ახლა ვფიქრობთ ალგორითმზე, რომელ პარტიას რამდენი კანდიდატი ჰყავდეს, სად, რომელ გეოგრაფიულ რეგიონში. ამაზე მიმდინარეობს მსჯელობა.



– თქვენ იქნებით კანდიდატი და სად?

– არა, ჯერ ამაზე საუბარი არ ყოფილა. ალგორითმი იქნება შემუშავებული.

– შეიძლება, შიდაკენჭისყრა, პრაიმერიც იყოს?

– დიახ, არაფერია გამორიცხული. ახლა მუშაობა მიმდინარეობს იმაზე, გეოგრაფიები როგორ გადავანაწილოთ. ოპოზიციაში კონსულტაციები გრძელდება და უახლოეს ორ-სამ კვირაში ეს პროცესი დასრულდება.

– ამ შეხვედრებზე იყო თუ არა საუბარი ოპოზიციის პრემიერმინისტრობის კანდიდატზე?

– არა, ნამდვილად არ ყოფილა. თაკო ჩარკვიანის პირადი აზრი იყო, რომ მას მოსწონს ახალგაზრდა, პერსპექტიული გიორგი ვაშაძე და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ რამე სახის კონსულტაცია ამ საკითხზე ნამდვილად არ ყოფილა. არც გიორგი ვაშაძეს არ დაუდასტურებია ამ საკითხზე არაფერი. ეს იყო სუბიექტური აზრი, რომელიც ღიად ითქვა საქართველოს მოქალაქეებისთვის.

საერთოდ, ცუდი არ იქნება, მეტიც, უფრო უპრიანი იქნება, ოპოზიციამ ამომრჩეველს ბევრად უფრო ღია და საჯარო პოლიტიკა შესთავაზოს. ოპოზიციამ არა მხოლოდ პრემიერობის კანდიდატი, არამედ, ჩრდილოვანი კაბინეტიც უნდა დაასახელოს.

– ჩრდილოვანი კაბინეტი იმ პატიებიდან, რომლებიც „ლეიბორისტების“ ოფისში იკრიბებით?

– ფლაგმანი ოპოზიციური პარტიებიდან უნდა დასახელდეს. ყველა პარტიამ თავისი ვერსია უნდა წარმოადგინოს. ეს მხოლოდ წაგვადგება, მხოლოდ კარგი იქნება. თვითმიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ პარლამენტში შესვლა. მიზანი ქვეყნის ამ მდგომარეობიდან გამოყვანა და ახალ რელსებზე დაყენება უნდა იყოს.

– „ძალა ერთობაში“ ანუ ნაციონალური მოძრაობის ქოლგის ქვეშ პარტიები, შეიძლება, ერთ საარჩევნო ბლოკად გავიდეს?

– ძალიან დიდი ალბათობით – კი. ის პარტიები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს გრიგოლ ვაშაძეს უჭერდნენ. ეს იყო ძალიან მომგებიანი გაერთიანება და ეს დამტკიცდა პრაქტიკულად. დაახლოებით ერთი მილიონი ხმა მიიღო ამ ძალამ. ეს მაჩვენებლები, მე მათემატიკოსი გახლავართ და ვიცი, რა შედეგებსაც დადებს არჩევნებზე.

– კვლავ პრემიერობის კანდიდატს რომ დავუბრუნდეთ, როგორ გაჩნდა ვერსია კობა ნაყოფიასთან დაკავშირებით? მისი კანდიდატურა განიხილება?

– არავინ არ განიხილება გადაწყვეტილების დონეზე, თუმცა მივესალმები პოლიტიკური პარტიების ამბიციებს, ლიდერების გადაწყვეტილებებსაც, რომ ღიად და საჯაროდ დასახელდნენ კანდიდატები. მაგრამ ამ წუთისთვის ნამდვილად შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ეს ამოცანა დღის წესრიგში არ დგას.

– ახლა რა არის მთავარი ამოცანა?

– 30 მაჟორიტარულ ოლქში, რომლებიც იქნება საქართველოში დიდი ალბათობით, ოპოზიცია შეჯერებული, საერთო კანდიდატით გავიდეს და „ქართული ოცნების“ კანდიდატი დაამარცხოს.

– ბატონო მურმან, 20 ივნისის აქცია კვლავ ძალაშია? ამაზე იყო კონსულტაციები?

– დიახ. ეს არის შალვა ნათელაშვილის პოზიცია, რომ ჩვენ რაღაცნაირად უნდა შევეხმიანოთ, გავიხსენოთ 20 ივნისის ერთი წლის თავზე. საგანგებო მდგომარეობა ამ დროისთვის ისევ ძალაში იქნება და საპროტესტო აქცია ცოტა რთული იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით, „გავრილოვის ღამე“ კიდევ ერთხელ გავაპროტესტოთ.

– რა ფორმით?

– საქართველოს მოქალაქეები ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ეტყვიან, რომ საქართველოს სტრატეგიული არჩევანი, ქვეყნის პროდასავლური ორიენტაციის შეცვლა კატეგორიულად მიუღებელია.

გიგი უგულავა: „ვანო მერაბიშვილი ნაციონალებს შეუერთდება“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერის გიგი უგულავას განცხადებით, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ნაციონალურ მოძრაობას შეუერთდება. აღნიშნულის შესახებ უგულავამ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ გუშინ, 20 მაისს, განაცხადა.

– საბოლოო ჯამში, პარტიულად ის ნაციონალურ მოძრაობაში იქნება. როგორი ფორმით, რანაირად, ეს უკვე ნაციონალური მოძრაობის საქმეა. საიდუმლო გავეცი? არა მგონია, ეს დიდი საიდუმლო იყოს. მე ჩავთვალე, რომ ეს ყველასთვის ცხადი იყო, – განაცხადა უგულავამ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

ჯემალ გამახარია: „აფხაზეთში კოვიდსიტუაცია ბოლო პერიოდში გართულდა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.

– ბატონო ჯემალ, რუსეთმა აფხაზეთის მიმართულებით გამყოფი ხაზების განახლება დაიწყო. მანამდე ცხინვალის მხარეს ახდენდა ბორდერიზაციას. რა უნდა რუსეთს, რატომ ვერ ისვენებს?

– რუსეთი ასეთია, უნდა, მდგომარეობიდან გამოგიყვანოს, წონასწორობა დაგაკარგვინოს, მაგრამ ჩვენ ყოველივე ამას მიჩვეული ვართ და ნერვები საკმაოდ მტკიცე გვაქვს.

– თუმცა ასე, ამ გზით ტერიტორიებს გვაშორებს, ადამიანებს იზოლაციაში აქცევს, რაც სრულიად მიუღებელია.

– რასაკვირველია, რუსეთის ქმედებები საქართველოსთვის სრულიად მიუღებელია. ოკუპანტი თავის საქმეს აკეთებს. აქამდე რუსეთი ბორდერიზაციას ცხინვალის მიმართულებით ინტენსიურად ახდენდა, აფხაზეთისკენ კი – ნაკლებად, მაგრამ ახლა აფხაზეთისკენ გააქტიურდა.

ოკუპანტის ამგვარი ქმედება გამოწვეულია იმით, რომ ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვარი სულ სახმელეთოა. იქ არ არის არც ზღვა, არც მდინარე, რომელიც გამყოფ ხაზად წარმოგვიდგებოდა.

აფხაზეთს ზუგდიდის რაიონისგან ძირითადად მდინარე ენგური გამოყოფს, მაგრამ არის კიდევ რამდენიმე ადგილი, რომლებიც ხმელეთით გვაკავშირებს. რამდენიმე დღის წინ თახულანი-საბერიოს საოკუპაციო ხაზზე მიმდინარეობდა რაღაც სამუშაოები. აფხაზეთთან ერთი სახმელეთო გამყოფი ხაზი აქ არის.

მეორეა ის ადგილი, სადაც დღეს აბამენ მავთულხლართებს. ეს არის ხურჩა და განმუხურის მიმდებარე ტერიტორია. ხურჩა სოფელ ნაბაკევის მოსაზღვრედაა აფხაზეთის მხარეს. განმუხური ესაზღვრება სოფელ პიჩორსა და მეორე ოტობაიას, სადაც ე.წ. სახმელეთო საზღვარს აკეთებენ. აქ ხდება ადრე გავლებული მავთულხლართების განახლება.

ახალი ბოძები დაუყენებიათ, მავთულხლართები გამოუცვლიათ, თხრილები გაუკეთებიათ, ზოგან ჯერ კიდევ გაჰყავთ.

– ვიდეოკამერებსაც ამონტაჟებენო.

– ვიდეოკამერებს ამონტაჟებენ. ამბობენ, მავთულხლართების ელექტროფიცირებაც მოახდინესო.

– რაში სჭირდებათ მავთულხლართების ელექტროფიცირება?

– ადამიანებმა მავთულხლართები რომ არ გაჭრან და არ გადავიდნენ. ადამიანები მავთულხლართებზე მაინც გადადიან. მავთულხლართები დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ამიტომ ელექტროფიცირებას ახდენენ, ასევე ახლო-ახლოს ვიდეოკამერები დაუყენებიათ. სამწუხაროდ, ასეთი სამუშაოები მიმდინარეობს.

– ეს ღობეები უნდა ამოიღო და გადაყარო.

– ასეც მოხდება. ეჭვი ნურავის შეეპარება იმაში, რომ არცთუ შორეულ მომავალში ამ მავთულხლართებს გადავყრით. ამის ძალიან დიდი იმედი მაქვს.

– საინტერესოა, თხრილები რაში სჭირდებათ?

– ისეთ ღრმა თხრილებს აკეთებენ, რომ იქითა მხრიდან მავთულხლართებთან ვერ მიხვალ. შესაბამისად, ვერც გაჭრი და ვერც გადალახავ. თხრილები, ალბათ, იმიტომ გააკეთეს, რომ ადამიანი ან საქონელი ვერ მივიდეს მავთულხლართებთან. თხრილებს მეტი რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს.

– რაც ახლა კეთდება, შეიძლება იყოს ახალი ე.წ. პრეზიდენტის ინიციატივა, პირდაპირ რუსეთის მიზანმიმართული ქმედება თუ ურთიერთშეთანხმებით მოქმედებენ?

– ვერ გეტყვით, რა მონაწილეობა აქვს მიღებული ბორდერიზაციის განახლებაში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას. დე ფაქტო ხელისუფლებამ იმ ე.წ. შეთანხმებით, რომელიც აღიარების შემდეგ დადო რუსეთთან, ე.წ. საზღვარი ოკუპანტებს ჩააბარა. ყველაფერს ოკუპანტები განაგებენ – რაც უნდათ, იმას აკეთებენ – მავთულხლართებს აბამენ და გამყოფ ხაზს ამაგრებენ.

ადრე გავლებული მავთულხლართების უბრალოდ განახლება კი არა, ძალიან სერიოზული გამაგრება ხდება. რისი ეშინიათ, არ ვიცი.

– თხრილების გაკეთება ცოტა სხვა ასოციაციას იწვევს, ბრძოლისთვის მომზადების შთაბეჭდილებას ქმნის.

– მავთულხლართები ადამიანმა შეიძლება თავისუფლად გადალახოს. საომარი მოქმედებებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თხრილები ვერავის შეაჩერებს. ალბათ, უფრო იმისათვის კეთდება, რომ ადამიანები მავთულხლართებთან ახლოს ვერ მივიდნენ.

როგორც იქაურები ყვებიან, იქ ყველას ჰყავს საქონელი, რომელიც მიჩვეულია იქით ტერიტორიებზე გადასვლას. ამიტომ ხშირად საქონელი არღვევდა მავთულხლართებს. არა მგონია, თხრილები საომარი ვითარებისთვის სჭირდებოდეთ. თუმცა რუსეთისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, შეიძლება, ამასაც ითვალისწინებდეს. გამორიცხული არ არის.

– მთელი მსოფლიო გაჩერებულია, ომები შეწყვეტილია, რუსეთი კი არ ისვენებს. კოვიდის აფეთქების პირობებში აფხაზეთში მავთულხლართების მონტაჟისთვის სცალია?

– თქვენ სწორად შენიშნეთ, კოვიდის პირობებში ტერორისტებიც კი ისე არ აქტიურობენ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. შექმნილ ვითარებას ისინიც ითვალისწინებენ. გამოდის, ყველაზე დიდი ტერორისტია...

– რუსეთი...

– ოკუპანტი, რომელიც მართლაც რომ ვერ ისვენებს, აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით გამყოფ ხაზებს ამაგრებს, აკეთებს ე.წ. საზღვარს, რომელსაც დიდი დრო არ უწერია.

– ფსოუზე საქართველო-რუსეთის საზღვარი კვლავ ჩაკეტილია?

– დიახ, აფხაზეთი ჩაკეტილია როგორც რუსეთის, ასევე ზუგდიდის მხრიდან, მაგრამ რუსეთის მხრიდან ასობით ადამიანი მაინც გადმოდის.

– ვინ გადმოდის?

– წერენ, რომ სამხედროების ოჯახის წევრები ან თვითონ სამხედროები არიან. თუმცა, ყოველდღიურად ასობით ადამიანი რომ გადმოდის, არა მგონია, მხოლოდ სამხედროები იყვნენ. ტურისტული სეზონი აფხაზეთში ჯერ არ არის გახსნილი. ტურისტული სეზონის გახსნას 1 ივნისამდე თითქოს არ გეგმავდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც უშვებენ.

– ანუ რუსეთის მხრიდან აფხაზეთში ტურისტები შემოდიან?

– დიდი ალბათობით, რუსი ტურისტები შემოდიან, თუმცა ოფიციალურად ტურისტული სეზონი აფხაზეთში 1 ივნისს უნდა გაიხსნას.

– კოვიდსიტუაცია როგორია?

– კოვიდსიტუაცია ბოლო პერიოდში გართულდა, დღეისათვის 26 დაინფიცირებული ჰყავთ. აფხაზეთისთვის ეს პატარა ციფრი არ არის მაშინ, როდესაც ისინი ამისთვის სრულიად მოუმზადებლები არიან. წინ კიდევ რა ელოდებათ, ამაზე საუბარი მიჭირს. იქ, რეალურად, 26 ინფიცირებულია თუ ბევრად მეტი, არ ვიცით, თუმცა ოფიციალური მონაცემი ასეთია.

– აფხაზეთის საავადმყოფოებში არიან მოთავსებული თუ აქეთაც მკურნალობენ?

– აფხაზეთში მკურნალობენ. აქეთ ვინც მკურნალობს, ისინი მათ მონაცემებში არ შეჰყავთ.

– ახალი ე.წ. პრეზიდენტი როგორ მოერგო აფხაზეთში არსებულ ვითარებას?

– ძალიან ცოტა დროა გასული იმისათვის, რომ ახალი დე ფაქტო ადმინისტრაციის საქმიანობა შევაფასოთ. იქ ჯერჯერობით ე.წ. მთავრობისა და ადგილობრივი ე.წ. ხელისუფლების ფორმირება არ დაუსრულებიათ. ამ პროცესში არიან. შემდეგ რა პოლიტიკას განახორციელებენ ჩვენთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ამაზე ჯერ არაფერი განუცხადებიათ.

განცხადებები, რომლებიც დე ფაქტო არჩევნების დღეებში გაკეთდა, კარგად გვახსოვს. ვნახოთ, რა პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამენ. ჯერჯერობით იქ ახალი მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფორმირების პროცესი მიმდინარეობს.

– გარდა კოვიდინფიცირებულებისა, სხვა დაავადებების მქონე ავადმყოფებიც ხომ არიან. ისინი აქეთ გადმოდიან? მაგალითად, ცხინვალის რეგიონიდან ავადმყოფის გადმოყვანის უფლებას არ აძლევენ.

– მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. საზღვარი ჩაკეტილია, ავადმყოფები გადმოდიან და მკურნალობენ.

– საინტერესოა, თუ რუსეთი ცხინვალის რეგიონიდან ავადმყოფის გადმოყვანას ხელს უშლის, მაშინ აფხაზეთის მხრიდან ავადმყოფებს როგორ აძლევს უფლებას, გადმოვიდნენ და იმკურნალონ? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ საკითხს ადგილობრივი რეჟიმები წყვეტენ და ცხინვალის რეჟიმების დამოკიდებულებაა ასეთი?

– გამყოფ საოკუპაციო საზღვრებს რუსები აკონტროლებენ. მათზეა დამოკიდებული, ვის გამოუშვებენ და ვის – არა, მაგრამ არის კიდევ ერთი მომენტი – აქეთ სამკურნალოდ მომავალი ადამიანები აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების სამსახურში ნებართვას იღებენ და იმ ნებართვით გადმოდიან ენგურს აქეთ. ცხინვალის რეგიონში, როგორც ჩანს, ამგვარ ნებართვებს არ იძლევიან.

– ცხინვალის რეგიონში შესვლისთვის ადამიანებს საშვები აქვთ.

– საშვები აქვთ, მაგრამ პანდემიის პირობებში არ უშვებენ და ეს ე.წ. საზღვარი საიმედოდ აქვთ ჩაკეტილი.

– სხვა პერიოდში აფხაზეთიდან გადმოსულებს ე.წ. უშიშროების ნებართვა სჭირდებათ?

– სჭირდებათ. მათ, ვინც სოხუმიდან, გუდაუთიდან და გაგრიდან მოდის, ნებართვა სჭირდებათ.

– დრო განსაზღვრული აქვთ?

– დროც განსაზღვრულია. თუ საჭირო გახდება, დროს უგრძელებენ.

– რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით რამე სიახლეს ელოდებით?

– არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ ახლო მომავალში რამე შეიცვლება. ისე, პერსპექტივაში ცვლილებას უნდა ველოდოთ. ამის იმედი უნდა ვიქონიოთ. ვითარება უნდა შეიცვალოს, სხვა გზა, უბრალოდ, არ არის. ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რუსეთის შიგნით რა პროცესები განვითარდება და როგორი ზეწოლა იქნება გარედან.

ამერიკელი ექსპერტები: „კრემლი ცხინვალის რეგიონზე შეტევას განაგრძობს“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის აგრესიულ გეგმებსა და ჰიბრიდული ომის მეთოდებზე დასავლელი ექსპერტები კორონავირუსის პანდემიის პიკის დროსაც ამახვილებდნენ ყურადღებას. თითქმის ყველა მათგანი თანხმდებოდა, რომ კრემლი ნავთობის ფასების დაცემამ და კორონაინფექციამ მკაცრ სანქციებზე მეტად დააზიანა.

დღეს ამერიკელი ექსპერტები აშშ-სა და მის მოკავშირეებს რუსეთის შესაკავებლად აქტიურობისკენ მოუწოდებენ. მათი თქმით, დასავლეთი, პირველ რიგში, უნდა დაეხმაროს რუსეთის მეზობლებს, რომლებიც მის აგრესიას განიცდიან. ასეთ სახელმწიფოებს შორის ისინი მოიხსენიებენ საქართველოსა და უკრაინას.

მათი შეფასებით, კრემლი თანდათან განაგრძობს შეტევას ცხინვალის რეგიონზე, სადაც რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტები აწყობენ ნაგებობებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარზე.

რაც შეეხება უკრაინას, პანდემიის პერიოდში მოსკოვი ყველა ღონეს ხმარობდა, დაეყოლიებინა მისთვის სასურველ მოქმედებებზე კიევი.

ყველგან, მათ შორის, სამეზობლოში, რუსეთი კვლავინდებურად იყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს. ისინი მუდმივად იხვეწება. ერთი-ერთი მეთოდი, დეზინფორმაცია, კრემლმა გამოიყენა უკრაინის ერთ პატარა ქალაქში მოსახლეობის პროტესტის ასაგორებლად. ხალხი შეცდომაში შეიყვანეს, რის შემდეგაც ადამიანები გამოვიდნენ საკუთარი თანამოქალაქეების წინააღმდეგ, რომელთა ევაკუაცია ჩინეთიდან მოხდა.

ამერიკელი ავტორების სიტყვებით, დასავლეთი ამ ეტაპზე დაკავებულია პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლითა და საკუთარი საშინაო პრობლემებით. თუ ეს გაგრძელდა, რუსეთი თავის ზრახვებს განახორციელებს და გარკვეულ წარმატებებს მიაღწევს.

ექსპერტები ურჩევენ აშშ-ს, თავის დასავლელ პარტნიორებთან ერთად იმოქმედოს და გააძლიეროს საკუთარი მოკავშირეების პოზიციები, რომლებიც პუტინის ცეცხლში აღმოჩნდნენ.

პუტინი საბოლოოდ დამარცხდება, მაგრამ მას შეუძლია, თავისი გაიტანოს ამ ეტაპზე. რას ეყრდნობა მძიმე მდგომარეობაში მყოფი რუსეთის პრეზიდენტი?

ამერიკელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პუტინსა და მის რეჟიმს კორონაკრიზისულ პერიოდში რამდენიმე საყრდენი აქვს.

პუტინმა მოახერხა ოქროსა და სავალუტო რეზერვების დაგროვება, რასაც ის გამოიყენებს ეკონომიკური პრობლემების შემსუბუქებისათვის.

გარდა ამისა, კრემლის ხელმძღვანელი თავის სასარგებლოდ იყენებს საზოგადოების გაკონტროლების გაძლიერების ხერხებს. იგი სრულად აკონტროლებს საინფორმაციო სივრცეს. პანდემია რუსეთში გამოიყენეს მოქალაქეთა შეზღუდვისა და კრიტიკული აზრის დევნისათვის. პუტინმა დაფინანსება გაუზარდა თავდაცვის სამინისტროს, ეროვნულ გვარდიას, ფაქტობრივად, ყველა სპეცსამსახურს. თვითიზოლაციის რეჟიმის დაცვას როსგვარდია უზრუნველყოფს. რეგიონებში ადგილობრივი ადმინისტრაციები ცდიან ადამიანის ამოსაცნობ პროგრამებსა და დევნის სისტემებს. ამ მექანიზმებს პუტინი მოხერხებულად გამოიყენებს პროტესტისა და განსხვავებული აზრის ჩასახშობად. მას მეზობელ ქვეყნებზე თავდასხმაც შეეძლება.

იმ სიტუაციაში, როცა პუტინს მსოფლიოში არავინ ეპასუხება, არავინ იწვევს, მას ხელფეხი გახსნილი აქვს.

უფრო მეტიც, პუტინი ჰუმანიტარული თემებითაც თამაშობს და მოუწოდებს მსოფლიოს, გააუქმოს სანქციები რუსეთის, სირიის, ირანისა და ვენესუელის წინააღმდეგ. მას ბევრ საკითხში მხარს უბამენ ირანი და ჩინეთი.

ექსპერტების აზრით, თუ აშშ და მისი მოკავშირეები არ გამოცოცხლდნენ, რუსეთი კიდევ ჩაიდენს აგრესიას სამეზობლოში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან კიდევ ერთ ანექსიას ვარაუდობენ ჩეხი ანალიტიკოსები.

ჩეხი ანალიტიკოსების პროგნოზით, პუტინი ქულების მოსაპოვებლად მეზობელი ქვეყნების ანექსიას მოახდენს

მათი დასკვნით, ამაზე პუტინი წავა საკუთარი რეიტინგის ასაწევად და ქულების მოსაპოვებლად. რუსეთის პრეზიდენტის ნდობა საგრძნობლად შემცირდა. რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, მისი ნდობა 28%-ს შეადგენს. სწორედ ამდენმა გამოკითხულმა დაასახელა პუტინი სანდო პოლიტიკოსად. 3 წლის წინ მას სანდო პოლიტიკოსად ასახელებდა გამოკითხულთა 60%.

ჩეხი ანალიტიკოსების აზრით, პუტინს პანდემიის პირობებში ტოტალიტარიზმის დამყარების რეპეტიცია ჩაუვარდა. აპრილის შუა რიცხვებში ქვეყანაში შემოიღეს საშვები. მათ გარეშე ადამიანი ნაბიჯს ვერ დგამდა. ყველაფერი კონტროლდებოდა.

რუსეთში გავრცელებული საბჭოური მენტალიტეტის მიუხედავად, მკაცრი ზომებით პუტინის ავტორიტეტი ვერ ამაღლდა.

საკონსტიტუციო ცვლილებების ჩანაფიქრით, პუტინი ხელისუფლებაში 2036 წლამდე უნდა დარჩეს. ამ საკითხზე დაგეგმილია რეფერენდუმი.

პუტინს ხალხის მხარდაჭერა წყალივით სჭირდება. რეგიონებში ის მოსახლეობას თავისი ძლევამოსილებითა და მეზობლებზე თავდასხმებით მოხიბლავს.

პუტინი შეეცდება, თავის ქვეყანაში დაამტკიცოს, რომ ფიზიკურად ჯანმრთელია და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა შეუძლია.

ჩეხი ავტორები დარწმუნებული არიან, რომ პუტინი ამ ამოცანებს ვერ შეასრულებს, თუმცა მისგან რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიის მიტაცება მოსალოდნელია.

თბილისში ბიზნესმენის გაჭაცებისთვის პოლიციამ 13 კაცი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, იმერეთის, შიდა ქართლისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, თბილისში, ცაგერში, ხაშურსა და ბათუმში ერთდროულად ჩატარებული კომპლექსური სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და ძალადობის ბრალდებით 13 პირი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან: 1995 წელს დაბადებული თ.ო., 1997 წელს დაბადებული ლ.შ., 1989 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ.დ., 1958 წელს დაბადებული ზ.ტ., 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ. გ., 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.ნ., 1994 წელს დაბადებული ნ.ო., 1980 წელს დაბადებული ზ.თ., 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.შ., 1990 წელს დაბადებული გ.ბ., 1968 წელს დაბადებული კ.ბ., 1987 წელს დაბადებული გ.ბ. და 1970 წელს დაბადებული ი.ბ.

დაკავებულ თ.ო.-ს, ლ.შ.-ს და გ.დ.-ს ბრალი ედებათ „ქურდული სამყაროს“ წევრობაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და ძალადობაში, მ.გ.-სა და ზ.ტ.-ს „ქურდული სამყაროს“ წევრობაში; ნ.ო.-ს, ზ.თ.-ს, ბ.შ.-ს, კ.ბ.-ს, გ.ბ.-ს და ი.ნ.-ს „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის ან „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვაში, ხოლო გ.ბ.-ს და ი.ბ.-ს „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის ან „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვასა და „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერაში.

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ბიზნესმენი 2020 წლის მარტის თვეში „ქურდული სამყაროს“ წევრებმა მოტყუებით წაიყვანეს ქ. თბილისში მდებარე წინასწარ ნაქირავებ ბინაში, სადაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ტელეფონის მეშვეობით დაალაპარაკეს საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდს“, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც, გათავისუფლების სანაცვლოდ, 7.500 აშშ დოლარი გამოსძალეს. აგრეთვე, ძალადობითა და სისტემატური ზეწოლის გზით, 50.000 ამერიკული დოლარის 2 თვის ვადაში გადახდა დააკისრეს.

გამოძიების ფარგლებში ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად თ.ო.-ს, ლ.შ.-ს და გ.დ.-ს დანაშაულებრივი საქმიანობა კიდევ 2 ეპიზოდში გამოიკვეთა. კერძოდ, 2020 წლის მარტში და აპრილში, აღნიშნული პირები, მოდავე მხარეების მიმართვის საფუძველზე, ავტომანქანების გასხვისებასთან დაკავშირებულ დავებში ჩაერთნენ. საზღვარგარეთ მყოფი კანონიერი ქურდების მხარდაჭერით მოაწყვეს ქურდული გარჩევები და სხვადასხვა მხარეებს გარკვეული თანხის გადახდა დააკისრეს, მიღებული თანხა კი „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდასაჭერად გამოიყენეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს 3 ძვირადღირებული ავტომანქანა, 16.000 აშშ დოლარი, კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერომანეთს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ.

გამოძიება მიმდინარეობს „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და ძალადობის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა-მუხლის მე-2 ნაწილით, 223-ე მე-4 პრიმა-მუხლით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

* * *

„კურიერმა“ იმ კრიმინალური ავტორიტეტის ვინაობა გაარკვია, რომლის ჩარევითაც ბიზნესმენს დიდი ოდენობით თანხა იძულებით დაათმობინეს.

„კურიერის“ ინფორმაციით, ეს არის გიორგი ღოღელიანი, რომელიც ამ დროისთვის საზღვარგარეთ იმყოფება.

სწორედ ის არის პირი, რომელთანაც ამ დროისთვის დაკავებულები დანაშაულებრივი სქემის ყველა დეტალს ათანხმებდნენ. მათ შორის იმასაც, ვის რა რაოდენობით თანხა და რა პერიოდის განმავლობაში უნდა მიეტანა „ქურდულ სამყაროსთან“ დაახლოებული პირებისთვის.

დაკავებული 13 პირი ამ დროისთვის წინასწარი მოთავსების იზოლატორში იმყოფება. მათი უფლებადამცველები ამბობენ, რომ დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ, იყენებენ დუმილის უფლებას და ჯერჯერობით ამაზე ვრცელ ინფორმაციას არ ფლობენ.

„კურიერი“ ერთ-ერთის უფლებადამცველ ცოტნე ტყებუჩავას ესაუბრა, რომელიც ამ საქმეზე დაკავებული ივანე ბოკერიას უფლებებს იცავს.

საგამოძიებო უწყება ივანე ბოკერიას ქურდული სამყაროს წევრებთან მიმართვასა და დახმარების თხოვნას ედავება. როგორც დაკავებული უფლებადამცველთან აცხადებს, სპეცოპერაციისას მისი მეგობარი დაუკავეს, ის კი ამ პროცესში შემთხვევით მოხვდა.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნება არის ერთი უბრალო მუშა, რომელიც ავტომანქანების დისპეტჩერად მუშაობს. მას ჰყავს ავადმყოფი შვილი, პენსიას იღებს ჩვეულებრივად. უნდა შევიდე, ვნახო ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნება, გავესაუბრო და ამის შემდეგ ნებართვას როგორც კი ავიღებ, უკვე დეტალურად შემიძლია, დაგელაპარაკოთ, – აცხადებს ადვოკატი ცოტნე ტყებუჩავა.

ადვოკატების თქმით, მას შემდეგ, რაც მათი დაცვის ქვეშ მყოფებს ბრალს წარუდგენენ და ადვოკატები საქმის მასალებს გაეცნობიან, ვრცელი კომენტარის გაკეთებას შეძლებენ.

– გარდა იმისა, რომ დაკავებული თავს არ თვლის დამნაშავედ, ბრალს არ აღიარებს და იყენებს დუმილის უფლებას, ამაზე მეტის თქმის შესაძლებლობა ფიზიკურად არ გამაჩნია. წაუყენებენ მას ოფიციალურად ბრალს, გადმომცემენ საქმის მასალებს, გავეცნობი მტკიცებულებებს და ვრცელი კომენტარის გაკეთებას მხოლოდ მას შემდეგ შევძლებ, – აცხადებს უფლებადამცველი მარიამ კანდელაკი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აშშ-ის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურმა სამედიცინო პრევენციული საშუალებები გადასცა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურმა კოვიდ 19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ადგილობრივი წარმოების პერსონალური დაცვის აღჭურვილობა გადასცა.

აღნიშნული მხარდაჭერა აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რაც საქართველოსა და აშშ-ს შორის უსაფრთხოების სფეროში არსებული მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

აღჭურვილობის გადაცემის ცერემონიას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი, ამერიკის საელჩოს მხრიდან კი აშშ-ის თავდაცვის ატაშე, პოლკოვნიკი სტეფან ბეგლი, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის უფროსი, ვიცეპოლკოვნიკი ჯოზეფ ბილბო და ორმხრივი ურთიერთობების ოფიცერი ჯორჯიის შტატიდან, მაიორი კვინტინ დოლი ესწრებოდნენ.

აშშ-ის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 300 ერთჯერადი სამედიცინო ხალათი, 1120 ერთჯერადი თერმი დამცავი სამოსი და 90 ცალი IR თერმომეტრი გადასცა, რაც უწყების თანამშრომლებს საშუალებას მისცემს, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, ეფექტურად განახორციელონ პანდემიასთან საბრძოლველად მათზე დაკისრებული მოვალეობები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ს შორის მრავალწლიანი მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამინისტროს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სანაპირო დაცვის შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

– პირველ რიგში, მსურს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მივულოცო ის წარმატებული ნაბიჯები, რომლებიც კოვიდ 19-თან საბრძოლველად გადადგა. უწყების ღონისძიებები სრულად იყო კოორდინირებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან.

აშშ-ის საელჩოსა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურს ხანგრძლივი ურთიერთთანამშრომლობის ისტორია აკავშირებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, განსაკუთრებით კი საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების კუთხით. მათი მხრიდან განხორციელებული ღონისძიებები სწორედ იმ თანამშრომლობაზე მიუთითებს, რაც წლებია, უკვე არსებობს ჩვენ შორის, – განაცხადა აშშ-ის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ოფისის ხელმძღვანელმა, ვიცეპოლკოვნიკმა ჯოზეფ ბილბომ.

„პროკურორმა იუზრდელა, დაგვიწყო ყვირილი“

ინციდენტი რურუას სასამართლოზე

გუშინ, 20 მაისს, „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის გიორგი რურუას სასამართლო პროცესზე მცირე ინციდენტი მოხდა.

ადვოკატ დიტო საძაგლიშვილის ინფორმაციით, ერთ-ერთმა პროკურორმა დაცვის მხარისა და ბრალდებულის მისამართით ყვირილი დაიწყო.

– პროკურორი აგრესიულად განწყობილი იყო, იუზრდელა, დაგვიწყო ყვირილი დაცვის მხარეს და ბრალდებულს და ამას მოჰყვა სიტუაციის ოდნავ გამწვავება სასამართლოს სხდომის დარბაზში.

უბრალოდ, ამ პროკურორებს ავიწყდებათ, რომ ჯერ ისედაც მათი სტატუსი ავალდებულებს, რომ ეთიკურად და ზრდილობიანად მოიქცნენ სასამართლოს სხდომის დარბაზში და მით უმეტეს, ისეთ საქმეზე, სადაც პოლიციელებს ჩადებული აქვთ ცეცხლსასროლი იარაღი და ტყუილად ზის გიორგი რურუა ციხეში.

თავად ეს პროკურორებიც არანაკლებ დანაშაულს ჩადიან იმ პოლიციელებზე, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღი ჩაუდეს გიორგის. მათი მხრიდან აგრესიულობა არის უტიფრობა და მეტი არაფერი. ეს იყო სიტუაციის გამწვავების მიზეზი, მაგრამ ეს პრობლემა აღმოიფხვრა, მოგვარდა და ვაგრძელებთ ჩვეულებრივად სასამართლო განხილვას.

გინებას ადგილი არ ჰქონია, იყო, უბრალოდ, ხმამაღალი საუბარი, რაც დაწყებული იყო პროკურორის მიერ და მაღლევე განიმუხტა სიტუაცია, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე ინფორმაციით, პროცესზე ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ.

გუშინვე გავრცელდა საქართველოს პროკურატურის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ სამართალდამცველების მხრიდან ბრალდებულ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკა გადაუდებელ შემთხვევაში ჩატარდა და ჩხრეკის შედეგად ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი მოთავსებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნივთმტკიცებათა მოსათავსებლად განკუთვნილ პაკეტში, რომლის დაღუქვაც განხორციელდა კანონით დადგენილი ყველა წესის დაცვით.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის დასკვნით სპეციალურ ნივთმტკიცებათა პაკეტზე დატანილი ლუქის მთლიანობა დარღვეული არ არის. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ექსპერტების გამოკითხვა შემდგომ სასამართლო სხდომებზე მოხდება“.

ციხეებში ყველა სახის ამანათის შეგზავნა განახლდა

20 მაისიდან პენიტენციარულ დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულ-მსჯავრდებულებთან ყველა სახის ამანათის შეგზავნა განახლდა, მათ შორის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პირადი მოხმარების საგნების, საკვები პროდუქტების და ასე შემდეგ.

ამ გადაწყვეტილებით პენიტენციარულ სისტემაში მოქმედი შეზღუდვების მოხსნის პირველი ეტაპი დაიწყო. ყველა ნივთი, რომლებიც ამანათის ან საფოსტო გზავნილის სახით მიეწოდება პენიტენციარულ დაწესებულებებს, დეზინფექციას გაივლის. სპეციალურად ამ მიზნით პენიტენციარულ სამსახურში მობილური ჯგუფი შეიქმნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 67 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 67 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 19 მაისის 21 საათიდან 20 მაისის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 59 მოქალაქე დააჯარიმა.

მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე 6 პირი დააჯარიმეს.

პოლიციამ თვითიზოლაციის წესის დარღვევის 2 ახალი ფაქტი გამოავლინა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

მხოლოდ მონდომება

მოვუწოდებ ყველა ფეხბურთელსა და გულშემატკივარს საქართველოში, რომ დავაწესოთ ფეხბურთის დღედ 13 მაისი და ყოველ წელს აღვნიშნოთ. მოვიარე „ავაზას“ ბაზა – იქ მამუკა მესხია ხელმძღვანელი. ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ბავშვები დიდი სიყვარულით ეკიდებიან ვარჯიშს, ინტერესიც დიდი აქვთ. შემდეგ მოვინახულე ჩვენი ლეგენდა-ფეხბურთელის თენგიზ სულაქველიძის ფეხბურთის აკადემია და გაოცებული დავრჩი მათი ვარჯიშით. მოკლედ, კარგი თაობა მოდის. გამოვიარე ჩემს საყვარელ 35-ე სკოლაში, სადაც გაიზარდნენ და დიდი ფეხბურთელები გახდნენ შოთა იამანიძე, მიშა მესხი, ზაურ კალოევი, ავთო ჭკუასელი, ალიოშა ჩიჩუა, სერგო კოტრიკაძე, ლეო ჟორდანია, თემურ კოზაევი, რეზო გუდაძე, ჟორიკა სხირტლაძე, უშანგი თოდაძე, ბუდა ტომარაძე, ნიკუშა მოწონელიძე და სხვები. თვალებზე ცრემლი მომადგა, რადგან ამ სკოლის ტერიტორიაზე ახლა მძღოლების სკოლაა განთავსებული. ფეხბურთის პრეზიდენტს ფიფადან და უეფადან გრანტები რომ მოსდის, იქ გარკვევით წერია, საქართველოს პირველობაზე მონაწილე ყველა ფეხბურთელს გამოუცვალეთ ფორმები და დარჩენილი ფულით სტადიონები შეაკეთეთო. ამ თანხით ეს ისტორიული სკოლის მინდორი უნდა განეახლებინათ.

როგორ არ ვაქო და ვადიდო თენგიზ სულაქველიძე, მამუკა მესხი და ბევრი სხვა მწვრთნელი, რომლებიც დილიდან საღამომდე ბავშვებთან არიან და ავარჯიშებენ.

მივმართავ ქალაქის მერს, დიდ ფეხბურთელს, კაცურ კაცს, ბატონ კახას – მე ვცხოვრობდი „ნახალოვკაში“, „პრავდის“ ქუჩაზე. ახლა ამ ქუჩას მიშა მესხის ქუჩა ჰქვია, რომელიც ჩვენი ქალაქის კოლორიტმა პიროვნებამ ნიკო ლეკიშვილმა დაარქვა, როცა ქალაქის მერი იყო. ჩემი დიდი თხოვნაა, მესხის ქუჩის პარალელური ქუჩა არის ხუდადოვის და ამ ქუჩას ეწოდოს სლავა მეტრეველის სახელი. მახსენდება ერთი ამბავი: როდესაც თბილისის „დინამო“ სათამაშოდ მოსკოვში მიდიოდა, ბორია პაიჭაძემ ჩაილაპარაკა, ახლა იქ ეციებაო. ბერიამ ყველა ფეხბურთელი წაიყვანა და ყველას უყიდა თბილი ბათინკები და დუბლიონკები. ის თამაში მოსკოვის „ტორპედოს“ 2:1 მოუგეთ და თბილისში დაბრუნების შემდეგ ბერიამ თითოეული 3-3 თვის ხელფასით დააჯილდოვა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მივხედოთ ქართველ ფეხბურთელებს და მხოლოდ 13 მაისით ნუ დავკმაყოფილდებით. ევროპის თასი ხომ ჩამოგვიტანეს ნოდარ ახალკაცის მეთაურობით. იქნებ დინამოს სტადიონზე ფარსადანოვიჩს ძეგლი დავუდგათ? მოქანდაკეებმა მითხრეს, იბო, ამას ნახევარ ფასში გაგიკეთებთო. ლობანოვსკის შუა კიევში დიდი ძეგლი დაუდგეს და ნოდარს არ ეკუთვნის, ამხელა სიხარული რომ გვაჩუქა?!

გული მიგრძნობს, ეს თაობა მაგარი იქნება. მე აღარ ვიქნები და ჩემი ნათქვამი გაგახსენდებათ – საქართველო მსოფლიო ჩემპიონი გახდება. ჩემი მეგობარი ჟიული სეფერთელაძე სულ მეუბნება, ბავშვები თავს არ ზოგავენ, ჯიგრულად ვარჯიშობენ და შედეგიც შორს არ არისო.

თქვენი მოსიყვარულე ჟიული სეფერთელაძე და იბო დოლიძე

პრემიერი სანჩესი: „საგანგებო მდგომარეობა 2 კვირით უნდა გავახანგრძლივოთ“

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა პედრო სანჩესმა ქვეყნის პარლამენტს ორი კვირით საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების შესახებ მიმართა.

მისი თქმით, კორონავირუსი არსად გამქრალა და სიფრთხილის ზომები კვლავ აუცილებელია.

პედრო სანჩესმა მოსახლეობას ბოდიშიც მოუხადა იმ შეცდომებისთვის, რომლებიც მთავრობამ კორონავირუსთან ბრძოლის პერიოდში დაუშვა.

ესპანეთში საგანგებო მდგომარეობა უკვე 4-ჯერ გახანგრძლივდა. პარლამენტის დამტკიცების შემთხვევაში, ის 7 ივნისამდე კვლავ ძალაში დარჩება.

კონტე: „გადავდივართ მეორე ფაზაში და ოპტიმისტურად ვართ განწყობილი“

იტალია კორონავირუსთან ბრძოლის მეორე ფაზაში გადადის. იტალიის პრემიერ-მინისტრ ჯუზეპე კონტეს თქმით, კრიტიკული მდგომარეობა სრულდება და ქვეყანას ოპტიმიზმის საფუძველი აქვს.

– ჩვენ უკვე მეორე ფაზაში გადავდივართ, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და ვგრძნობთ სოციალურ პასუხისმგებლობას. ბრძოლის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. იმისათვის, რომ ეს ბრძოლა დასრულდეს, ჯერ კიდევ გვჭირდება ერთმანეთის თანადგომა, – განაცხადა იტალიის პრეზიდენტმა.

იტალიას 32 ათასზე მეტი გარდაცვლილი ჰყავს.

აშშ-ის ნაციონალურ დაზვერვას, შესაძლოა, ახალი დირექტორი ჰყავდეს

აშშ-ის სენატის დაზვერვის საკითხთა კომიტეტმა ნაციონალური დაზვერვის დირექტორის დანიშვნის საკითხი განიხილა. რესპუბლიკელებმა, რომლებიც კომიტეტში უმრავლესობაში არიან, მხარი დაუჭირეს ტრამპის მიერ წამოყენებულ კანდიდატურას, რესპუბლიკური პარტიის წევრ ჯონ რიტჰოფს.

დემოკრატებმა რიტჰოფს მხარი არ დაუჭირეს.

მალე რიტჰოფის კანდიდატურას სენატი განიხილავს და, სავარაუდოდ, მხარსაც დაუჭერს, რადგან იქ უმრავლესობა რესპუბლიკელები არიან.

მაკრონის პარტიამ პარლამენტში უმრავლესობა დაკარგა

საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუილ მაკრონის პარტია „წინ რესპუბლიკას“ პრობლემები აქვს. პარტიის საპარლამენტო ფრაქცია დატოვა 17-მა დეპუტატმა. ამრიგად, „წინ რესპუბლიკამ“ პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა დაკარგა.

ახლა 577-ადგილიან ქვედა პალატაში მაკრონის პარტიას 288 მანდატი აქვს. პრეზიდენტისგან გამოყოფილი დეპუტატები ახლა ეკოლოგიისა და სოციალური უთანასწორობის საკითხებზე აპირებენ ყურადღების გამახვილებას.

თავად მაკრონი მომხდარს დასანან შემთხვევას უწოდებს. პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად არის:

– უმრავლესობამდე მხოლოდ ერთი დეპუტატი გვაკლია, – აცხადებს მაკრონი.

ავღანეთში 2 მეჩეთზე თავდასხმას 13 ადამიანი ემსხვერპლა

19 მაისს, ღამით, ავღანეთის 2 მეჩეთზე შეიარაღებულმა პირებმა თავდასხმა განახორციელეს, რომლის დროსაც, სულ მცირე, 13 მომლოცველი დაიღუპა. დაჭრილია ათობით ადამიანი.

ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო თავდასხმებში „თალიბანს“ ადანაშაულებს, თავად დაჯგუფებაში კი აცხადებენ, რომ მომხდართან კავშირი არ აქვთ.

ბოლო კვირების განმავლობაში ავღანეთში არაერთი ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა, მათ შორის, ქაბულის სამშობიარო სახლზე, როცა შეიარაღებულმა პირებმა 30-მდე ადამიანი დახოცეს, მათ შორის, ახალშობილები და დედები.

აშშ-ში კოლომოისკის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

აშშ-ის ფედერალურმა საგადასახადო ჟიურიმ უკრაინელი ოლიგარქის იგორ კოლომოისკის საწინააღმდეგო გამოძიება დაიწყო. ოლიგარქს ასეულობით მილიონი დოლარის ფულის გათეთრება ედება ბრალად.

კოლომოისკი უკრაინის ამჟამინდელ პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის ბიზნესპარტნიორი იყო. ზელენსკის ხელისუფლებაში მოსვლაც მისი დამსახურებაა. მიუხედავად ამისა, ზელენსკიმ კოლომოისკისთვის პრივატბანკის დაბრუნებაზე უარი განაცხადა. პრეზიდენტმა არც ოლიგარქის სხვა რჩევები გაიზიარა.

დღეს კოლომოისკი პრეზიდენტს აშკარად დაუპირისპირდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

ცოლის მიერ გალანძღულმა ქმარმა ჯეკპოტი მოხსნა

ავსტრალიის დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ პერტის გარეუბნის მკვიდრმა ლატარიაში მილიონიანი ჯეკპოტი მას შემდეგ მოხსნა, რაც ცოლმა ის ლატარიის თამაშით გატაცებისთვის გამოლანძღა.

მამაკაცის თქმით, მან ნახა, რომ ლატარიაში მსხვილი თანხა თამაშდებოდა და გადაწყვიტა, ბილეთი შეეძინა, ამის გამო კი მეუღლისგან ლანძღვა-გინება დაიმსახურა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მანამდე მას ლატარიაში მხოლოდ ერთხელ ჰქონდა მოგებული და მაშინაც პრიზის სახით ექვსი ქილა ლუდი მიიღო.

ამ გათამაშების შედეგების მიხედვით კი ცოლის მიერ გალანძღულ მამაკაცს ლატარიის ბილეთმა 1,8 მილიონი ავსტრალიური დოლარის მოგება მოუტანა.

ლატარიის გამარჯვებული მამაკაცის თქმით, ცოლმა საკუთარი სიტყვები უკან წაიღო. მიუხედავად ამ მოგებისა, მამაკაცი სამსახურის მიტოვებას არ აპირებს და წყვილი შტატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ქალაქგარეთ სახლის ყიდვას გეგმავს.

ქალიშვილმა მანქანის მართვის გაკვეთილის დროს მამა იმსხვერპლა

აშშ-ში 15 წლის გოგონას ავტომობილის უკანა სვლის ჩართვა დაავიწყდა და მანქანის მართვის გაკვეთილის დროს საკუთარ მამას დაეჯახა.

46 წლის ფლორიდის შტატის მკვიდრი თავის 15 წლის გოგონას ავტომობილის ტარებას ასწავლიდა. ის მანქანიდან გადავიდა და მის წინ გაჩერდა, ვინაიდან ეგონა, რომ მისი ქალიშვილი მანქანას უკანა სვლით დაძრავდა და სადგომზე დააყენებდა.

მაგრამ გოგონას უკანა სვლის სიჩქარის ჩართვა დაავიწყდა, აქსელერატორს ფეხი დააჭირა და მამას დაეჯახა, რომელიც ხეს მიასრისა. გოგონა მანქანიდან გადმოხტა და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. მიღებული ტრავმებისგან მამაკაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალეიდოსკოპი

მეთევზე უცნობმა სისხლისმწოველმა არსებამ შეაშინა

ნიდერლანდელმა მეთევზემ ტბაში უზარმაზარი ზომის უიშვიათესი პარაზიტი თევზი აღმოაჩინა.

ტომას ვან დერ ესი ბლისბოხის ეროვნულ პარკში მდებარე ტბაზე თევზაობდა, რა დროსაც შენიშნა თოლიები, რომლებიც ტბის ერთ წერტილს თავს დასტრიალებდნენ. მალე მამაკაცმა შენიშნა, რომ იქიდან თავთხელში უზარმაზარმა არსებამ ამოცურა, რომელიც გველთევზას წააგავდა. მას მანამდე მსგავსი არსება არასოდეს ენახა. მან ფოტოსურათი გადაუღო უცნობ არსებას და ის გადაუგზავნა ორგანიზაციას, რომელიც რეპტილიების, ამფიბიების და თევზების შესწავლითაა დაკავებული.

მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მეთევზემ უიშვიათესი პარაზიტი – ზღვის მინოგა აღმოაჩინა. ვან დერ ესმა განაცხადა, რომ ხალხი ასეთ თევზს 10-20 წელიწადში ერთხელ ნახულობენ. მინოგას ასეულობით მახვილი კბილი აქვს, რომლითაც ისინი თევზებს იჭერენ და სისხლს სწოვენ. ნიდერლანდელი ფიქრობს, რომ თევზმა მდინარეში ზღვიდან შემოცურა და ასე მოხვდა ტბაში, სადაც, მისი აზრით, კვერცხების დაყრას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ნიკოლოზ რაჭველი გულწრფელ ბოდიშს იხდის

ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაჭველი ანიტა რაჭველიშვილის განცხადების გამო გულწრფელ ბოდიშს იხდის:

– მიუხედავად შეჩერებული მუსიკალური პროცესებისა, ეს დღეები ძალიან დაკავებული აღმოვჩნდი „დოიჩე გრამაფონისთვის“ ჩემ მიერ გაორკესტრებული მუსიკალური მასალის საფორტეპიანო ტრანსკრიფციებზე მუშაობის გამო. ე.წ. დედლაინი დამიწესეს გერმანელებმა და, რომ იტყვიან, მოსწრებაზე ვარ. როგორც ჩანს, ამის გამო მხედველობიდან გამომრჩა ჩვენი პროფესიული სამყაროს გამოხმაურება შუადღის გადაცემის ირგვლივ, სადაც ანიტა და მე გახლდით სასაუბროდ მიწვეული.

ვინც ახლოს არ იცნობს ანიტა რაჭველიშვილს, ალბათ, ვერ დაიჯერებს, რომ თუნდაც ჩვენს შემთხვევაში ის ცალსახად სუბიექტური არასდროს არის. მე და არაერთმა ჩემიანმა ხომ კარგად ვიცით, რომ ჩვენი კოლექტივის მიმართაც მძაფრად კრიტიკულია და, როგორც ხელმძღვანელს ანუ პასუხისმგებელ პირს არასდროს მპატიობს დაშვებულ კომპრომისს მუსიკისა და პროფესიონალიზმის წინაშე. ამ გადაცემაშიც არ აუვლია გვერდი იმ ორკესტრის მინუსების აღნიშვნისათვის, მე რომ ვხელმძღვანელობ, ხოლო ვინც ანიტას იცნობს, ისიც იცის, რომ ვულკანივით მძაფრად გამოთქვამს ხოლმე აზრს და ზოგჯერ ეს აზრი უტრირებულად აღიქმება. ასე იყო ახლაც. იმდენად გაბრაზებულია ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენი პრობლემების დაუსრულებლობით, იმდენად გაუგებარია მისთვის, რომ მთელი ჩვენი საზოგადოების თანადგომის მიუხედავად, კვლავ ყველაზე ცუდ პირობებში ვიმყოფებით, რაშიც, რაღა დაგიმალოთ და, მეც მადანაშაულებს რიგ მიზეზთა გამო, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მის მიერ ორკესტრების ინსტიტუციური კრიტიკა არაკოლეგიალურად აღსაქმელი გახდა და საპასუხო რეაქცია გამოიწვია. არადა, მე ზუსტად ვიცი, რომ ანიტასთვის ყველა მუსიკოსი ძვირფასია, მით უმეტეს ქართველი, განურჩევლად იმისა, თუ სად უკრავს და ვისთან ერთად. ზუსტად ვიცი, რომ მას აზრადაც არ მოუვა მევიოლინის, ფლეიტისტისა თუ დასარტყამ საკრავზე შემსრულებლის დაკნინება, არც ერთი წამით ეს არ მიგრძნია ჩვენი 10-წლიანი მეგობრობის განმავლობაში. ზუსტად ვიცი, რომ

გორ უხარია ყველას წარმატება და გაუხმაურებლად უამრავ კეთილ საქმეს აკეთებს ქართველი ახალგაზრდებისათვის. გარდა ამისა, მთელი მსოფლიოს საოპერო სამყარო ანგარიშს უწევს მის მკაფიოდ დაფიქსირებულ პოზიციას ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შესახებ, რაც აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანი და სამაგალითოა, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რამხელა წვლილი შეაქვს საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნის მაღალ დონეზე წარმოჩენის საქმეში ან, უბრალოდ, რას უშვრება მუსიკას, რომელსაც ასრულებს.

გამორჩეულად დიდი და განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის საქართველოს ეროვნული ორკესტრისადმი, რომლის მიმართ 10 წლის განმავლობაში ამოძრავებს უსამართლობის განცდა, რადგან სწორედ ანიტაა თანამონაწილე თუნდაც იმ სირთულისა, რომ ვერ ვახერხებდით მისივე მეშვეობით დიდ დირიჟორებთან და მომღერლებთან საგასტროლოდ თბილისში ჩამოყვანის შეთანხმებას, რადგან ყველა ვარსკვლავი მინიმუმ 1 და მეტწილად 2 წლით ადრე ითხოვს მკაცრად განსაზღვრულ საკონცერტო თარიღს, ჩვენ კი, დარბაზის არქონის გამო, ვერც თარიღსა და ვერც ვერანაირ გარანტიებს ვერ ვთავაზობდით მათ.

ანიტამ 2012 წელს ფონდის დაარსების ინიციატივაც წამოჭრა ჩვენ მხარდასაჭერად და ყოველი მისი საქართველოში გამოსვლის შემდეგ ან ინსტრუმენტს ვაახლებთ, ან სარეპეტიციოს კომუნალურ გადასახადებს ვიხდით, რადგან არასოდეს აუღია ჰონორარი ჩვენს სეზონებში. ასე იყო მუდამ. ერთგულება და თანადგომა – რაც დაუვიწყარი იქნება ჩემთვის სიკვდილის წუთამდე!

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ორკესტრების საშემსრულებლო დონის ანიტას მხრიდან ასეთ უარყოფით შეფასებას, ცხადია, ეს ჩემი პოზიცია არ არის, არა იმიტომ, რომ ასე არ ვთვლი ან ასე ვთვლი, არამედ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, თავად ვარ ერთ-ერთი კოლექტივის ხელმძღვანელი და, მეორე მხრივ, არც ჩვენი საშემსრულებლო ხარისხით ვარ ყოველთვის ისეთი კმაყოფილი, რომ სხვათა გაკრიტიკების უფლება მივცე საკუთარ თავს. ზოგი კონცერტი კარგი გამოგვდის, ზოგი – საშუალო, ჩვენი ცუდად დაკრულიც მახსოვს და ძალიან კარგიც. ცხადია, ძალიან კარგი ჯერ-ჯერობით მაინც არ არის ის, რაც ევროპული და ამერიკული მაღალი კლასის ორკესტრების საერთო ხარისხს გაუთანაბრდება, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, მიუხედავად იმისა, რომ გვიჭირს მორალურადაც, ტექნიკურადაც, აკუსტიკურადაც და ლოჯისტიკურადაც... და მაინც ყველანი ვცდილობთ ისე, როგორც შეგვიძლია, როგორც გამოგვდის. სათანადო პირობები რომ გვქონდეს, კიდევ უკეთესები ვიქნებით, თან მგონია, რომ – გაცილებით. ბევრ მაგარ დირიჟორსა და მუსიკოსს ჩამოვიყვანდით, ბევრ დიდ ქმნილებას შევეჭიდებოდით რეგულარულ რეჟიმში, რაც კიდევ უფრო განავითარებდა ჩვენი დაკვრის ხარისხს!

მჯერა, რომ იმავე განცდით უდგება საქმეს თითოეული ჩვენი კოლეგა ყველა ანსამბლში, სიმფონიურ ორკესტრში, გუნდში თუ სასწავლებლის საკლასო ოთახში!

ამიტომ ჩვენი კოლექტივის მიმართ მხარდაჭერის საპირწონედ დანარჩენ კოლექტივთა შესახებ გამოხატული ნეგატიური შეფასებების გამო, რაც ანიტას მხრიდან, როგორც ვიცი, მართვის პოლიტიკასა და მხატვრულ ხელმძღვანელობას ეხებოდა და არა უშუალოდ მუსიკოს-შემსრულებლებს, გულწრფელ ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც ამა თუ იმ ორკესტრში მსახურობს, ანიტას მოსაზრება თავის თავზე მიიღო და გული ეტკინა. სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ საკუთარ თავზე, რომ ეს ის არ იყო, რის თქმაც გვსურდა გადაცემაში ორივეს. უნებურად ასე გამოვიდა და, თუ დავფიქრდებით, ალბათ, გავიხსენებთ, რომ ყველას მოგვსვლია საკუთარი აზრის დაფიქსირებისას მსგავსი გაუგებრობა თუნდაც ერთხელ მაინც!

უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ძალიან ბევრ ჩემს ახლობელს, ნაცნობსა და სრულიად უცნობ ადამიანებს, მთელ ჩვენს საზოგადოებას ასეთი გულშემატკივრობისა და თანადგომისთვის ჩვენი 95-წლიანი ისტორიის მქონე ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მიმართ, ასევე პირადად ჩემდამი მართლაც უსაზღვროდ გამოხატული სიყვარულის გამო, რის ტარებაც ძალიან რთულია, ძალიან საპასუხისმგებლო არა მარტო საქმიანი კუთხით, არამედ სულიერადაც. ხშირი შექება და თან ხელმძღვანელის პოზიციაზე ყოფნა, სისუსტის შემთხვევაში, პირდაპირი გზაა ამპარტავნობისაკენ. ჰოდა, მეც ცხოვრება ასეთ ბრძოლებში გამყავს, მაგრამ, ის ნამდვილად ვიცი, რომ მეგობრობა არის საუკუნეებში გამოცდილი უმაღლესი რანგის ღირებულება და ამიტომ ყოველთვის ვიქნები იქ, სადაც არის ჩემი მეგობარი ანიტა, რომელმაც, თავის მხრივ, არაერთხელ დამანახა და ლამის უკვე მთელი შეგნებული ცხოვრებაა მაგრძნობინებს, როგორია ნამდვილი მეგობრობა, ისეთი, რომ სასოწარკვეთილებისაც არ გეშინია, რადგან ყოველთვის გახსოვს, რომ არსებობს იმედი და გყავს დასაყრდენი.

ღმერთს ვთხოვ, შემაძლებინოს სათანადოდ დაფასება საქმით, ერთგულებითა და მუსიკით!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

ალეკსანდრე ჩეფერინი: „მალე ჩვეული ფეხბურთი დაგიბრუნდებათ“

უეფას აღმასკომის სხდომა რომ გადაიდო, ცნობილია. ისიც გარკვეულია, თუ როდის ჩატარდება – 17 ივნისს. აღმასკომის სხდომაზე მთავარი თემა ევრო 2020 უნდა ყოფილიყო, რომელიც მომავალ წელს უნდა ჩატარდეს. მიზეზი იცით – კორონავირუსი.

უეფას განცხადებაში ნათლად არის აღნიშნული, რომ გადადების მიზეზი რამდენიმე ღია საკითხია, მათ შორის – ევრო 2020-ის მასპინძელი ქალაქების სტადიონების მცირე ნაწილთან დაკავშირებით.

როგორც ბრიტანული მედია წერს, ევრო 2020-ის მატჩების მასპინძლობის მზადყოფნაზე გარანტიები მხოლოდ ლონდონისა და ამსტერდამისგან ვერ მიიღო.

როგორც იცით, კონტინენტის უმთავრესი ტურნირი ევროპის 12 ქალაქის 12 სტადიონზე უნდა გაიმართოს, საიდანაც 2 სწორედ ლონდონის „უემბლი“ და ამსტერდამის „იოჰან კრუიფ არენაა“.

არადა, „უემბლიზე“ ევროპის ჩემპიონატის 7 შეხვედრაა დაგეგმილი: 3 ჯგუფური ეტაპის, ერთი მერვედფინალური, 2 მეოთხედფინალური და ერთიც ფინალური მატჩი. „იოჰან კრუიფ არენამ“ კი ჯგუფური ეტაპის 3 (დიდი შანსია, საქართველოს ნაკრების 1 მატჩიც აქ გამართულიყო) და 1 მერვედფინალურ შეხვედრას უნდა უმასპინძლოს.

სამაგიეროდ, საჭირო გარანტიები უეფას უკვე წარუდგინეს ევრო 2020-ის მასპინძელმა დანარჩენმა ქალაქებმა: რომმა, მიუნხენმა, ბაქომ, სანკტ-პეტერბურგმა, ბუქარესტმა, დუბლინმა, კოპენჰაგენმა, ბუდაპეშტმა, გლაზგომ და ბილბაომ.

ვერ გეტყვით, რას იტყვიან 17 ივნისამდე ლონდონი და ამსტერდამი, მაგრამ უეფას პრეზიდენტი ალეკსანდერ ჩეფერინი ამბობს, რომ ერთი წლით გადადებული ევროპის ჩემპიონატი 2021 წელს აუცილებლად ჩატარდება.

სლოვენიელმა ამის შესახებ ასევე ბრიტანულ მედიასთან ისაუბრა.

ალეკსანდერე ჩეფერინი:

– მილიონს თამამად ჩამოვიდოდი იმაზე, რომ 2021 წელს ევროპის ჩემპიონატი აუცილებლად გაიმართება. ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა ჩატარდეს. არ ვფიქრობ, რომ ეს ვირუსი და პანდემია გაისადაც გვექნება. ჩემი აზრით, კორონავირუსი იმაზე ადრე დამარცხდება, ვიდრე ბევრს ჰგონია. უბრალოდ, სიფრთხილე გვმართებს და ყურადღება უნდა მივაქციოთ ხელისუფლების რეკომენდაციებს.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ძველი და კარგი ფეხბურთი ფანებთან ერთად ძალიან მალე დაბრუნდება. ძალიან არ მომწონს აპოკალიფსური ხედვა იმის შესახებ, რომ მეორე და მესამე ტალღებს უნდა ველოდოთ. ბევრი უკვე ვირუსის მეხუთე ტალღაზე საუბრობს იმ დროს, როცა ჯერ კიდევ პირველი ტალღაა.

შეცვლის თუ არა კორონავირუსი ფეხბურთს ან რა კორექტივებს შეიტანს, ჩეფერინს პასუხი აქვს.

– არა მგონია, რომ რამე სამუდამოდ შეიცვალოს. უბრალოდ, ამ პერიოდში მეტ გამოცდილებას მივიღებთ. როცა ეს ვირუსი დამარცხდება, ყველაფერი ისევ ისე იქნება, როგორც იყო. ფეხბურთი პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა ვერ შეცვალეს და ვერც ეს ვირუსი შეცვლის. ამბობენ, ვირუსის დამარცხების შემდეგ მსოფლიო ისევ ისეთი აღარ იქნებაო. შესაძლოა, ეს მართალია, მაგრამ უმჯობესი არ არის, ვთქვათ, რომ მსოფლიო უკეთესი გახდება? რატომ არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენ ყველანი უფრო ჭკვიანები გავხდებით და ბოლოს და ბოლოს შევიგნებთ, რამდენად ცუდად ვექცეოდით ბუნებას. ეს იქნება კარგი გაკვეთილი ხალხისთვის.

სადღეისოდ განვითარებულმა მოვლენებმა ყველაფერი შეცვალა, მათ შორის – დღის წესრიგიც და გამონაკლისი არც უეფაა.

– ძალიან ბევრი საქმეა. 2 თვის შემდეგ პირველად ვიყავი შვეიცარიაში და დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე შეხვედრები მქონდა. ძალიან ბევრი ინფორმაცია მოდის, უამრავი პრობლემაა კალენდართან დაკავშირებით. თანაც, საქმე ეხება მილიონობით დოლარს. ამ ფულს ვკარგავთ. ღამით დაძინება უკვე ძალიან მიჭირს. მართალია, უეფას ფინანსური მდგომარეობა არ არის მძიმე, ძალიან სახიფათო სიტუაციაში არ ვართ, მაგრამ ჩვენ ხომ ყოველთვის ვზრუნავთ გუნდებსა და ლიგებზე. აქედან გამომდინარე, საქმე მართლაც ძალიან ბევრია!

2 ქალაქი გარანტიას ვერ იძლევა, რა საფრთხე ემუქრება ამ მხრივ ევროპის ჩემპიონატს და ხომ არ არის მოსალოდნელი ცვლილებები ფორმატში, ჩეფერინს ამ კითხვაზეც აქვს პასუხი, მაგრამ ჯერჯერობით – გაურკვეველი.

– ჯერჯერობით იდეა, რომ ტურნირი 12 ქალაქში უნდა გაიმართოს, ძალაშია. 10 მათგანი უკვე მზად არის, დანარჩენებთან კი გვაქვს კითხვები და მზად ვართ, განვიხილოთ. თუ შეგვეძლება, ვითამაშოთ 12 ქალაქში, ასეც მოვიქცევით, მაგრამ, არის შანსი, რომ შევამციროთ 10 ან 8 ქალაქამდე.

ჩეფერინმა ასევე აღნიშნა, რომ უეფა მესამე ევროტურნირზე (ევროპის კონფერენს ლიგა) უარის თქმაზე არც კი ფიქრობს.

– ეს ტურნირი აუცილებლად დაიწყება, თანაც – 2021 წელს. ჩვენ მას არ გადავდებთ!

არადა, კორონავირუსის კრიზისის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ ფიფას პრეზიდენტმა ჯანი ინფანტინომ განაცხადა, რომ ეს ფეხბურთისთვის შანსია – ყველამ უნდა იფიქროს ფეხბურთის შემცირებაზე, რეორგანიზაციაზე.

– ვეცადე, გამეგო, რატომ ისაუბრა ფიფას პრეზიდენტმა ფეხბურთის შემცირებაზე, მაგრამ უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ, ერთი მხრივ, ფიფა მატჩების შემცირებაზე საუბრობს და, მეორე მხრივ, ახალ ტურნირს თავად აფუძნებს, რომელსაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ერქმევა? ეს ფეხბურთს შეამცირებს? ინფანტინოსთან ამ თემაზე ჯერ არ მისაუბრია.

სლოვენიელი ასევე აცხადებს, რომ კორონავირუსის გამო ცვლილებების შეტანას ფინანსურ ფეარ ფლეიში ჯერ არ აპირებს.

– თუ კლუბები არ გაჰყვებიან წესებს, მათზე ყოველთვის იქნება სანქციები. თუმცა ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ ჩვენი წესები გაუმჯობესდეს და, თუ საჭირო გახდა, დროსთან ადაპტირდეს. გვინდა, ფინანსური ფეარ ფლეი გავაუმჯობესოთ, უფრო მოდერნიზებული გახდეს და კონკურენტუნარიანი ბალანსი არ დაირღვეს. გვაქვს ბევრი იდეა, მაგრამ ამ რთულ პერიოდში ზედმეტ ცვლილებებზე ფიქრს მოვერიდეთ, თუმცა მომავალში იქნება. მთავარია, ახლა ჩვენი ხომალდი სწორი კურსით წავიყვანოთ და ახლოს ვართ იმასთან, რომ ასე გავაკეთებთ. როდესაც ყველაფერი ჩაწყნარდება, ძველ ამოცანებს ხელახლა მივუბრუნდებით.

უეფას პრეზიდენტმა ფეხბურთელების ხელფასებზეც ისაუბრა.

– არ ვფიქრობ, რომ ფეხბურთელები ხარბები არიან. მოთამაშეების ფასებსა და ხელფასებს ბაზარი არეგულირებს. არა მგონია, თქვენ ან მე უარი ვთქვათ, როცა წელიწადში 20 მილიონ დოლარს შემოგვთავაზებენ. ო, არა, არა, მომეცით წელიწადში 200.000 დოლარი – ვინმე ასე უპასუხებს? ვნახოთ, როგორი იქნება ბაზრის რეაქცია ამ კრიზისზე. შესაძლოა, ფასებმა დაიკლოს. ზოგადად კი არ მიმაჩნია სწორად იმაზე ლაპარაკი, რომ ფეხბურთელები ხარბები არიან. მათი დამსახურებით ფეხბურთი ძალიან დიდ გადასახადებს იხდის. თავად ფეხბურთელებიც ბევრ გადასახადს იხდიან.

პოცო ბუნდესლიგას აკრიტიკებს

ჯანპაოლო პოცო, რომელიც იტალიური საფეხბურთო კლუბის უდინეზეს მფლობელია, ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში განახლებული ბუნდესლიგის შესახებ საუბრობს. მისი განცხადებით, ტრავმები თითოეული გუნდის მთავარ გამოწვევად რჩება, რაზეც არსებული სტატისტიკაც მეტყველებს.

ჯანპაოლო პოცო:

– ძალიან ცუდად დაიწყეს და ამას, როგორც წარმატებას, ისე ასაღებენ. ის, რაც მოსალოდნელი იყო ტრავმების თვალსაზრისით, მოხდა! პირველი 6 მატჩის მსვლელობისას დაფიქსირდა 8 ასეთი შემთხვევა. ეს მაგალითი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თუ არ ხარ სათანადოდ მომზადებული, მაშინ ფასის გადახდა მოგიწევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ყველაფერი მოხდა კვირის განმავლობაში ჩატარებულ 1 მატჩში, ხოლო როცა ორთაბრძოლების რაოდენობა გაიზრდება ორამდე, მაშინ სეზონის დასრულებამდე რომ მიაღწიო, არანაკლებ 30 ფეხბურთელი დაგჭირდება.

შეგახსენებთ, გერმანიის ჩემპიონატის 26-ე ტური 16 მაისს განახლდა.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

კალეიდოსკოპი

ვეფხვის მიერ წითელი მგლის დევნა ვიდეოზე გადაიღეს

ინდოეთის კარნატაკას შტატში მდინარე კაბინის მახლობლად წითელი მგელი შეეცადა ვეფხვი დაეფრთხო და მისი დევნისგან თავი დაეღწია. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო საგენტომ გამოაქვეყნა.

ვიდეო სოციალურ ქსელებში პოპულარული მას შემდეგ გახდა, როდესაც ის იქ ველური ბუნების ფოტოგრაფმა გამოაქვეყნა, რომელმაც მგლის ყმუილი უცნაურად მიიჩნია.

– არასოდეს მომისმენის ტყეში შეშინებული მგლის ყმუილი, ვინაიდან ის თავადაა მტაცებელი, – დაწერა ვიდეოს კომენტარში ფოტოგრაფმა.

ინდოეთის სატყეო მეურნეობის სამსახურის ოფიცრის სუსანტა ნანდას თქმით, მისი რამდენიმე კოლეგის ვარაუდით, წითელი მგელი ყმუილით ცდილობდა დაეფრთხო ვეფხვი, ვინაიდან იქვე, სადღაც შორიახლოს, მისი ლეკვები იმალებოდნენ.

– ის პანიკაში ჩავარდნილს ჰგავს. მისი ყმუილი მეტად უცნაური და იშვიათია. როგორც ჩანს, ვეფხვი მისთვის თავის დანებებას არ აპირებს, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– საინტერესო ვიდეოა. ყოველთვის ვთვლიდი, რომ წითელი მგლები ჯოგური ცხოველები იყვნენ, ამიტომ მეტად უცნაურია მარტოხელა ინდივიდის ნახვა, – აღნიშნა მეორემ.

პოლიციას სექსთოჯინა მკვლელობის მსხვერპლი ეგონა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში პოლიციელებმა ცხედრის თაობაზე შეტყობინება მიიღეს და შემთხვევის ადგილზე მისულებს გზის პირას სექსთოჯინა დახვდათ, რომელიც რეალურ ადამიანს წააგავდა. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში აწარმოებდნენ გამოძიებას.

15 მაისის დილას უცნობმა პირმა პოლიციას შეატყობინა, რომ გზის პირას, ქალაქ ბოუენიდან ექვს კილომეტრში, ცხედარი აღმოაჩინა. პოლიციელები მითითებულ ადგილზე მივიდნენ, დროებით გადაკეტეს გზა და შემთხვევის ადგილი შემოღობეს.

რამდენიმე საათის შემდეგ სასამართლო ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ოდეალაში გახვეული სხეული სექსთოჯინა აღმოჩნდა, ამასთან იმდენად რეალურს მიმსგავსებული, რომ სამართალდამცავებს ის მკვლელობის მსხვერპლი ეგონათ. ინსტრუქციის თანახმად, თოჯინასმნაომი ერქვა. ამის შემდეგ პოლიციელებმა დანაშაულის სავარაუდო ადგილი დატოვეს.

თოჯინის გვერდით აღმოჩენილი იქნა ცხოველის სისხლის შხეფები, ტვინის ქსოვილები, ქალის საცვლები, მამაკაცის ტრუსები, ერთი ცალი წინდა და ნაომის ინსტრუქცია.

– პოლიცია გამოძიებას გააგრძელებს, რათა თოჯინას წარმომავლობა დადგინდეს, – განაცხადეს პოლიციაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კოსმოსური სხივების განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი, პოლონეთის ქალაქ სელდცეს ევროპული აკადემიის ზუსტ მეცნიერებათა განყოფილების ფიზიკის, მათემატიკისა და რიცხვითი ანალიზის ინსტიტუტის დირექტორი, პოდლასის უნივერსიტეტის სენატის წევრი 1995-2009 წლებში, კოსმოსური ფიზიკის დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მიხეილ ალანია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პირუტყვით მოვაჭრე ძველად; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. საყოველთაოდ აღიარებული აზრის, მსჯელობის საწინააღმდეგო, მკვეთრად განსხვავებული შეხედულება; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. მსუსხავი ბალახი; 8. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი სახელწოდება; 9. ოსური ხაჭაპური; 12. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 14. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მუსლიმანთა მარხვა; 7. მწერიჭამია ჭაობის მცენარე; 9. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. ფულის ერთეული თურქეთში; 11. სან-რემოს კინოფესტივალის გრან-პრის მფლობელი თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 13. მელაზე, კურდღელზე სანადაროდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში; 15. ნახატი ზღვის ხედით; 17. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 18. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 19. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 20. ლირიკული სიმღერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კონსული; 2. გრანიტი; 3. სტრაბიზმი; 4. უშქარი; 5. ფლეგმა; 9. „პორტუ“; 10. ამბიცია; 14. „ბუდვაიზერი“; 15. „პერგამონი“; 16. სასუქი; 19. მასტიფი; 20. „ხორუმი“; 21. ბარონი.

თარაზულად: 6. კონტრაგენტი; 7. მარშალი; 8. ასპენი; 11. ბოდრუმი; 12. ატომი; 13. აზურიტი; 17. სენკევიჩი; 18. „ამარკორდი“; 22. ბოლნისი; 23. ქვაწვია; 24. აფშერონი; 25. ყინწვისი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „ჰუნდაი“; 2. კერი; 3. კონსტანტა; 4. ზონდი; 5. დიონისე; 8. ზამონი; 9. პარანგონი; 12. ბახალა; 14. არმაზი; 16. ატაშე.

თარაზულად: 1. ჰინდუკუში; 6. კოხინორი; 7. ნუსხური; 9. პრუსია; 10. რიფი; 11. პორტერი; 13. ოკაცე; 15. ლაზიკა; 17. ჰარლემი; 18. პანიკა; 19. აიაზმა; 20. შეგირდი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 მაისი

აშშ დოლარი — 3.2012

ევრო — 3.5028

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9211

100 რუსული რუბლი — 4.4617

ამინდის პროგნოზი 21 მაისისთვის

მემფის დეპაი, შესაძლოა, მილანში გადავიდეს

ლიონის ჰოლანდიელი შემტევი მემფის დეპაი ზაფხულში, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს და მილანში გადავა. საფრანგეთში სეზონი ნაადრევად დასრულდა და ამიტომ ლიონს ფინანსური პრობლემები აქვს, რის გამოც რამდენიმე ფეხბურთელს შეელევა. მათ შორის არის მემფის დეპაიც, რომელიც მინიმუმ 40 მილიონი ღირს.

მილანი მზად არის, ეს თანხა გადაიხადოს, თუმცა ლიონმა, შესაძლოა, უფრო მეტიც მოითხოვოს.

მემფის დეპაი ლიონში 2017 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

ინტერი კავანის ყიდვას ცდილობს

ინტერი ზაფხულში კიდევ ერთი ფორვარდის ყიდვას აპირებს და ეს ფორვარდი, სავარაუდოდ, პსჟ-ს ურუგვაელი თავდამსხმელი ედისონ კავანი იქნება, რომელიც პარიზული გუნდის დატოვებას ცდილობს.

კავანი მადრიდის ატლეტიკოში უნდა გადასულიყო, მაგრამ ეს ტრანსფერი გაურკვეველი მიზეზების გამო ჩაიშალა.

ინტერი მზად არის, კავანის ტრანსფერში 30 მილიონი გადაიხადოს, თუმცა ამ თანხამ, შესაძლოა, პსჟ არ დააკმაყოფილოს.

პსჟ-ს, სხვა ფრანგული გუნდებისგან განსხვავებით, პანდემიის გამო ფინანსური პრობლემები არ აქვს.

იურგენ კლოპი: „ვარჯიშის დაწყება შეიძლება“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ინგლისში უკვე არის საშუალება, გუნდებმა ვარჯიში დაიწყონ, თუმცა გარკვეული წესების დაცვა აუცილებელია. კლოპის აზრით, ვარჯიშის დაწყება სეზონის განახლებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება:

– მინდა, რომ გუნდები სავარჯიშო მოედანს დაუბრუნდნენ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სეზონის განახლება საკმაოდ რთული იქნება. ფეხბურთელები ფორმაში უნდა შევიდნენ.

არიც ადურისმა კარიერა დაასრულა

ბილბაოს ატლეტიკის ფორვარდმა არიც ადურისმა კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. ატლეტიკის თავდამსხმელმა ასეთი გადაწყვეტილება ტრავმის გამო მიიღო, რადგან მას ოპერაცია დასჭირდება.

გარდა ამისა, ადურისი უკვე 35 წლის არის და მას ბოლო პერიოდში ხშირად აწუხებდა ტრავმები.

ადურისმა კარიერის ძირითადი ნაწილი ბილბაოს ატლეტიკში გაატარა და ის ამ გუნდის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 მაისისთვის

ვერძი – ემოციური განახლების დღეა, საკმაოდ რთული და კონფლიქტური. ერიდეთ საკუთარი აზრის გამოთქმას ხელმძღვანელობასთან. **კურო** – სამუშაო თქვენგან მტკიცე დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას საკმაოდ იოლად შეძლებთ. **ტყუპები** – ყურადღებით იყავით. სამსახურში მცირეოდენი შეცდომაც კი თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება. **კირჩხიბი** – ადრე დაშვებული შეცდომები უთუოდ გააანალიზეთ და საჩქაროდ გამოასწორეთ. ოჯახის წევრებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **ლომი** – დაძაბული დღეა. სამსახურში უფროსობასთან კონფლიქტი გელით. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და ემოციებს არ აჰყვეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. შემოთავაზებულ წინადადებას ნუ დათანხმდებით. საეჭვო ხალხთან ურთიერთობას პლანეტები არ გირჩევენ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, მივლინებებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. ბედი გწყალობთ. **ღრიანკალი** – თავს დაცულად და მშვიდად გრძნობთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ ძალისხმევასა და კონცენტრაციას მოითხოვს. ფინანსები აკონტროლეთ. **თხის რქა** – დროა, ფასეულობები გადააფასოთ. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **მერწყული** – საქმიანი პარტნიორები ნერვებს გიშლიან. გეგმების შეცვლა მოგიწევთ. **თევზები** – შესაძლოა ძველმა მეგობარმა გაწყენინოთ. კარგი იქნება, თუ შექმნილი სიტუაციიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ეეჰ, ახალგაზრდობაში ჩემით გოგოები ინტერესდებოდნენ...

– და ახლა?

– ახლა ფასიანი ექიმები, აფთიაქები და რიტუალური მომსახურების ბიუროები.

●●●

აფრიკის სავანაში ერთი ლომი მეორეს ეუბნება:

– ამოვიდნენ ყელში ეს ახალი რუსები, დაქრიან ჯიპებით, ლოთობენ, იგინებიან...

– ჰო და მერე მუცელში მაგათი მობილური ტელეფონები გაუთავებლად რეკავს.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– პრეზერვატივით ღალატი არ არის, ჰო?

– რა თქმა უნდა და არც მაყუჩიანითაა მკვლელობა...

●●●

ფსიქიატრიულში პაციენტები ტელევიზორში ახალ ამბებს უყურებენ. უცბად ერთი წამოიძახებს:

– რა კარგია, რომ ფსიქიატრიულში ვარ!

ამ დროს ერთი ექიმი მეორეს გადაულაპარაკებს:

– ეს აშკარად გამოჯანმრთელებულია და დროა, გავწეროთ.

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემი მეზობელი დღე და ღამე ტელევიზორს უყურებს.

– რა სულელია.

– უკვე არის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მაკა მახარაძე 70 წლის გახდა

მსახიობი და ბალერინა მაკა მახარაძე 70 წლის გახდა.

მედეა ჩახავასა და კოტე მახარაძის შვილმა იუბილე მოკრძალებულად, ოჯახის უახლოესი წევრების გარემოცვაში აღნიშნა.

იუბილე ხელოვანს ათასობით ადამიანმა მიულოცა და ყოველივე საუკეთესო უსურვა.

საბალეტო ხელოვნებას მაკა მახარაძე მამის, კოტე მახარაძის რჩევით დაეუფლა, მოგვიანებით კი თავისი სტუდია გახსნა და წლებია, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. „ვერის უბნის ტანც კლასი“ – ასე ეწოდება სტუდიას, სადაც მაკა მახარაძემ ათასობით ბავშვს შეაყვარა და შეასწავლა ბალეტი.

ხელოვნებაშია ჩართული იუბილარის მთელი გარემოცვა – შვილები, შვილიშვილები... მედეა ჩახავას უნიჭიერესი შთამომავლობა კვლავაც აგრძელებს ქართველი საზოგადოებისთვის უდიდესი სიამოვნების მინიჭებას, თავად კი საპასუხოდ უანგარო და უზარმაზარ სიყვარულსა და სითბოს იღებენ.

მსახიობი გიორგი რევაზიშვილი გარდაცვლილი იპოვეს

ცხინვალის თეატრის მსახიობი გიორგი რევაზიშვილი გარდაცვლილი იპოვეს.

სამწუხარო ინფორმაცია ცხინვალის თეატრმა თავად გაავრცელა:

– არც კი ვიცით, როგორ ვთქვათ... აღარ გვყავს ჩვენი მეგობარი, ჩვენი ნაწილი, ჩვენი უნიჭიერესი მსახიობი გიორგი რევაზიშვილი...

მსახიობ ნინო ლეჟავას ინფორმაციით კი მისი კოლეგა ან გულმა იმსხვერპლა, ან წნევამ:

– სავარაუდოდ, გული ან წნევა. ორი დღე არ გამოჩნდა და სახლში იპოვეს აბაზანაში გარდაცვლილი.

ანიტა რაჭველიშვილმა ორკესტრები გააკრიტიკა

ოპერის მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა საქართველოში მოღვაწე ორკესტრები გააკრიტიკა და მათ დონეს სამარცხვინო უწოდა.

ხელოვანებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ანიტას გამოსვლა მთავარი არხის „შუადღეში“. მომღერალმა საუკეთესო ორკესტრად ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი დაასახელა.

დირიჟორებმა და მუსიკოსებმა ანიტას ეს გამოსვლა იწყინეს და მის განცხადებას უხერხული უწოდეს.

ოპერის მომღერალმა კი განაცხადა:

– სიმართლე მწარე და საწყენია, მეგობრებო და ყოველთვის საწყენი იქნება! გავიმეორებ და ვიტყვი, რომ კრიტიკა ჭკვიან ადამიანს მოსწონს მარტო.

სხვათა შორის, სიმფონიური ორკესტრები გავაკრიტიკე და რატომღაც ყველა დანარჩენმაც საკუთარ თავზე მიიღო. მე არ გამიკრიტიკებია არც კონსერვატორია და არც მისი მოსწავლე-პედაგოგები, მაგრამ მაინც საკუთარ თავზე მიუღიათ.

კაცია და გუნება!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კიმ კარდაშიანი პარიკს ატარებს



რეალითი შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ ვარსკვლავმა და მეწარმემ კიმ კარდაშიან-უესტმა აღიარა, რომ პარიკს იყენებს. ამის თაობაზე ინფორმაცია მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

კარდაშიანმა გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც მას უკან შეკრული მუქი წაბლისფერი თმა აქვს. მას ამ დროს ეცვა შავი ბიუსტჰალტერი, კოლგოტი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი.

ტელევარსკვლავმა კომენტარში დაწერა, რომ ქერა თმები, რომლითაც ის ადრე თაყვანისმცემლებმა შენიშნეს, უბრალოდ, პარიკი იყო. არც ისე დიდი ხნის წინ მან გამოაქვეყნა საკუთარი ფოტოსურათი, რომელზეც მას ღია ფერის ტალღოვანი თმები აქვს, ახლა კი აღიარა, რომ პარიკი ეკეთა და თმები არ შეუღებავს.

ემილი რატაკოვსკიმ საკუთარი ბრენდის ბიკინის რეკლამაში მიიღო მონაწილეობა



ამერიკელმა სუპერმოდელმა, მსახიობმა და მეწარმემ ემილი რატაკოვსკიმ საცვლების მწარმოებელი საკუთარი ბრენდის ინამორატას ბიკინში გამოწყობილმა გადაიღო ფოტოსურათები და ვიდეო, რომელიც შემდეგ ინსტაგრამში მის გვერდზე გამოქვეყნდა.

ვიდეორგოლში 28 წლის მოდელი აღბეჭდილია ლეოპარდ-ბარდას გამოსახულებიან ბიკინში, რომელსაც ემატება იგივე გამოსახულებით დამშვენებული მოკლესახელოებიანი პერანგი. ხოლო აქსესუარებიდან მას ამშვენებს ბეჭედი-საყურეები და ორი ოქროს გულსაკიდი.

ფოტოსურათებმა და ვიდეორგოლმა მისი თაყვანისმცემლები აღაფრთოვანა და არც ქების სიტყვები დაუშურებიათ. საბოლოო ჯამში კი, ვიდეომ რატაკოვსკის მონაწილეობით მილიონზე მეტი ნახვა მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ლუდის ღვთაებად მიჩნეული მითოლოგიური ფლანდრიელი მეფე; 2. მარმარილოს საბადო კახეთში; 3. ფრანგი კომედიოგრაფი „სევილიელი დალაქის“, „ფიგაროს ქორწინების“ ავტორი; 4. სამეჯლისო ცეკვა; 5. ძველად, კვირის ესა თუ ის დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ წინასწარ დანიშნული; 6. მოძრავი სცენა თეატრში; 7. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 9. რძეში მოზელილი, კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი პური; 13. ფრანგული კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 17. ღვინის შესანახი პატარა ქვევრი; 18. მდინარე ციმბირში.

თარაზულად: 1. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 3. სპორტული იარაღი აკრობატული ხტომებისთვის; 8. თეატრალური პრემია საქართველოში; 10. ქალის სასიმღერო ხმა; 11. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 12. ფეხბურთის ბრაზილიელ გულშემატკივართა სახელწოდება; 14. შავი და თეთრი შრეების მქონე მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 15. ნახევარკუნძული ევროპაში; 16. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი ოსტატი; 19. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 20. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა